

საქართველოს
ბიბლიოთეკა





შ ი ნ ა ა რ ს ი

ქუნაღ „ჭეჭილისა“

| | |
|--|-----|
| I სურათი: დახეთ, რა მზიარულობაა! | 130 |
| II რა ხანია ვყვირი, ქალო! ლექსი შიო მღვიმეჯისა | 131 |
| III გაბედული მონადირე. | 133 |
| IV რა იყო და რა გახდა. იტასი. | 134 |
| V ქურქის ამბავი. ტასოსი | 138 |
| VI ჯუჯებთან სტუმრათ (ინგლისური ზღაპარი) თარგ- მანი ან. წერეთლისა | 140 |
| VII დილა (გიორგი წერეთლის სახსოვრათ) ლექსი გ. ქუჩიშვილისა | 151 |
| VIII ბეკეკა, თარგმანი ანაკოსი | 152 |
| IX წვრილმანი: გამოცანები, საპასუხო კითხვები, ლჯ- რების გამოცანა, თამაშობა, რებუსი და სხვ. | 161 |
| ————— | |
| X სამშობლოში, ლექსი ვ. გორგაძისა. | 163 |
| XI თეთრი არწივი (თარგმანი) ვანო სავათაშვილისა. | 164 |
| XII ჩრდილოეთის ელვარება ად. ჭეჭინაძისა. | 172 |
| XIII წერილების და ფოსტის ვაგზაენ-გამოგზა ნის ის- ტორია ბერლინისა. (დასასრული) ად. ფადაგასი. | 178 |
| XIV ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ედი- სონი) დასასრული შემდეგ ნომერში | 187 |
| XV მეფე ირაკლის მასპინძელი. (ძველებური ამბავი) | 191 |

ჭეჭილის რედაქციაში ისეიდება ახლათ დაბეჭდილი:

მცენარეები და ცხოველები

ცხელი ქუეენებისა. (დასურათებული)

ნება დართული კავკ. ოლქის მზრუნველისაგან
სკოლებში სახმარებლათ.

————— ფასი 35 კაპ. —————



საქართველო ნახატებიანი ქუჩნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!

ი. დ.

მარტი, 1914 წ.

◆ წელიწადი მეოცდახუთე ◆



ეროვნული
ბიბლიოთეკა



დასეთ, რა მსიარულებაა!

რა ხანია ვუვირი, ქალო!

(თამრო და ქეთო ლოთვაძეებს)



ა ხანია ვუვირი, ქალო,
არ გესმოდბ განა, მართა!
— ნეტავი რა მოგივიდა,
ნეტავი რა დაგეძარბა?!

— უი ჩემს თავს! გენაცვალე,
დავიღუპე, ქვბთ ვიქეცი,
ერთბდ ერთი შვილის დედა
დავნელდი და დავიქეცი.

— როგორ! ქა, რა ამბავია,
რა მოგისდა იმისბანა?
— ნულარ მკითხავ, სევდაკვნესა
მეძატება თანდითბანა.

წუსელ, ვითომ სხადდგომბთ,
ვბბნავე ჩემი ქალი,
მსურდა სუფთბთ ჭქონებბდა
ველ-ეური და სხსე-თვბლი,
მაგრბამ ბედმა მიღბლბტბ,
დაბ, გავსდი დმერთ-გბმწურბლი,
თურბმე მეტი მომივიდა
მე უბედურს ცხელი წუბლი.

79898

საქართველო
პატარავთა
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩემი კოსტა ცუგრუძელა,
 ის ლაქლაქა, ის ლიფლიფა,
 წარბ-წამწამით, თმა-ქოჩორით,
 ქალო, სულ-მთლათ გაძეველიფა.

ნეტამც ქრისტე გამწერომოდა
 და არ ძებანავებინა;
 ადღგომა და ახალ-კვირა
 ისე განეტარებინა.

ახლა რაღა გვაბადგომებს,
 ისიც ტირის, მეცა ვტირი,
 ღმერთმა მტერსაც ააშოროს
 ამისთანა გასაჭირი.

— მეწეინა, ღმერთს გეფიცები,
 უჭ, რა კარგი თოჯნა გვაზდა!
 უწეინარი, უჩივარი,
 კალმით დასატულსა ჰგაზდა,
 მაგრამ დაო, რას უშველი
 ტირილით და მწერალობითა,
 თმები ძალე გაეწოდება
 დალაქ ჩიტოს წყალობითა.


ძანამდის კი ჩემს თოჯნებთან,
 მართა, ერთად ვითამაშოთ,
 ნუ მოიწეენ, გენაცვალე,
 თუ გივუარვარ უშენ ძაშოთ.

ამ სიტყვებით ანუგეძა,
 გაუწოდა მართას სელი
 და ცრემლიანს ვეღარ უთხრა,
 თუ რამ ჰქონდა სსვა სათქმელი.

ზიო მღვიმელი.



გაბედული მონადირე.



ანო, სად იუაფი აქამდის, რამდენი ხანია არ მინახავსარ? ჭკითხა თედომ თავის ამხანავს.

— ოჰ, რომ იცოდე სად ვიუაფი,

ჩემ ბატონს გაუეფი დათვხე სანადიროთ.

— მერე, ერთი დათვი მაინც მოჭკალი?

— რასაკვირველია, მოუკალი. მერე რა დიდი!


— როგორ მოჭკალი, მიაძბე?

— სულ აღვილათ. მივდივარ ჩემთვის მინდორში, ნაჯახი კი მუხათა მაქვს. შევხედე და ნაძვის ძირას გაწოლილს მოხრდილი დათვი და ტოტები გაუპარჭუავს. მე ნელა-ნელა მივეპარე, ხეს ამოვეფუარე და ნაჯახით მოვწევიტე ერთი ტოტი. ის უძრავათ იწვა; მე მეორეც მოვწევიტე ნაჯახით, ის ისევ უძრავათ იწვა...

— რა სულელი ეოფილხარ, ვანო! ჯერ თავი უნდა მოგეგდებინებინა!

— ეჭ!.. უთხრა ვანომ:—მეც ეგრე ვუიქრობდი, მაგრამ თავი რომ აღარ ჭქონდა, აღრევე ვილაცას მოეგდებინებინა.





მწვანე მინდორში ცხოვრობდა ერთი ჰატარა მწვანე ჭია.

ჰატარა ჭია დიდი ბედნიერი იყო. ან რატომ არ იქნებოდა ბედნიერი! დიდებული კაშკაშა მზე მხიარულათ დასცქეროდა, ათობდა, უხვათ აფრქვევდა თავის ოქროს ფეროვან სსივებს. ლამაზი, ათას-ფერათ აუგავებულნი ევაჟილები ეაღერებოდენ, თავს უღრეკდენ. ჩიტუნები ნაზის სიმღერით თავს ევლებოდენ; ნორჩი, კემრიელი ბალახი მუდამ მხათ ჰქონდათ ზირის ჩასატკბანურებლათ.

ჰატარა ჭია ხომ მეტად მსუნავი—გაუმაძღარია—მუდამ სჭამდა და სჭამდა.

— „რბ ულამაზო, რბ ხარმაცი ხარ, ეუბნებოდნენ მას ჭიანჭველები, რომლებიც მის ახლო მუდამ შრომაში და საქმეში იუვენ.—მთელი დღეები მხეხე წევხარ, განცხრომაში ხარ, ჭამის მეტს არახს აკეთებ!

მწვანე ჭიამ ჭიანჭველებს გადახედა, ერთი გაიცინა და განაგრძო ჭამა.

ჭიანჭვან მიფრინდა ჭორიკანა, ებედი კრახანა და ბევრი რამ ცხელცხელი ჭორები უამბო. სხვათა შორის ისიც კი უთხრა, რომ თბობა მასზე მეტათ ცუდი ახრისა არის—მხინჯი და ხარმაციანო.

ჭიამ ეური არ ათხოვა კრახანას ებედობას, ის განაგრძობდა არხეინათ ჭამას.

ჭრელი ჰეჰელების გროვამ ჭიას თავზე გადურბინა. ესენი ჰეჰელების მეჯლისზე მიწვეულნი იუვენ და იქითკენ მიეშურებოდნენ. ჰეჰელებმა მხიარულათ გაუცინეს ჰატარა მწვანე ჭიას და ალერსიანათ გადასძახეს: „ჭამე, ჭკვიანო ძატლო, ჭამე, განაგრძე შენი საქმე:

ჰატარა ჭია სჭამდა და სჭამდა. ბოლოს ისე დაიღალა, რომ განძრევა უჭირდა, მილი მოერია, ჭამას თავი დაანება და დასასვენებლათ მუდრო ადგილის ძებნა დაიწყო. ჭია ისე დაღალულათ გრძნობდა თავს, რომ ძლივს მიცოცდა ერთი ბუჩქის ძირთან, მასზე აცოცდა, მწვანე ფოთოლი მოძებნა, შეეხვია შივ, თავზე მწვანე ფოთოლი წამოიხურა საბნათ, მაგრამ დახეთ უბედურებას, საბანი ფეხებზე არ გასწვდა და ძალიან შესცივდა.

— ეს! რბ გაეწეობა, თუძვა ძლიერ მეხარება,



მეძინება კიდევ, მაგრამ ჰარკი უნდა გავიკეთო უფრო მოსვენებით ვიყო, ამოცხვრით თქვა ჭიამ და შეუდგა მუშაობას.

ანთავს ჰატარა ჭია, ჰირიდან უშვებს წმინდა მათებს, ტრიალებს და ირგვლივ ქსოვს ამ მძვენიერი ძაფებისაგან ლამაზ აბრეშუმის ბუდეს. აი, მხათ არის თბილი ბუდე, ახლა თავით-ფესამდის დაფარულია, ჰატარას ალარ სცივა. ლოგინში—ჰარკში ჩაწვა, გაიხმორა, შეიკუმმა და ძილს მიეცა.

დადგა სამთარი. ცეკვა-თამაშით გვეწვია ეინვა. ხესილებს გადაეხვია და ტკაცა-ტკუცი დაწვებინა მათ. გუბებზე და ტბებზე გაისეირნა, მძვენიერი სარკვებით შეამკო, სხვა წულებსაც არ მოაკლო ეურადლება, ბრჭეკიალა მინის სეწრათ გადაეფინა. ცოტა სნის შემდეგ ეწვია მალაღ მთებს და იქიდან თოვლმა დინჯათ გადმოიარა, ეველანფერს ფაფუკი საბანი გადააფარა.

ჰატარა ჭიას სმინავს, ეინვის სუსნი მას არ უგრძენია, იმ დრომდი, სანამ თოვლმა თეთრი საბანი არ ახადა არე-მარეს და არ გაემართა შორეულ მთებისკენ, ეინულის სამეფოში.

მდინარეებიც, ტბებიც, რუებიც განთავისუფლდენ ეინულისაგან და მხიარულათ, ხმაურობით დაეშვენ ქვემოთ, ერთი მეორეს ჩუსჩუსით მისდევენ, თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთსო, ვინ უფრო ადრე მავა თავის მშობელ დედასთან—ზღვასთანო.

სელ-ახლათ აევაზდა ბუნება: სეები შეიმოსენ ნორჩი ფოთლებით, ევავილებმა ამოჭევეს თავები,



რს იყო და რს გახდა.

თავის ნახ ღვროებზე ნახათ რსევა დაიწვეს, მის
სითბოთი სტკებებან.

პატარა ჭიამაც გაიღვიძა, გამომკრო პატარა პარ-
კიდან, ბუდიდან და გაიხშორა.

მშვენიერი გაზაფხულის დღე იდგა, კრასანა მინ-
დორში სწრაფათ მოფრინდა, უნდოდა მეგობრების-
თვის დილის სალაში ეძღვნა და გაზაფხულის მობრ-
ძანება მიელოცა, ის პატარა მწვანე ჭიის ბინასთან
გაჩერდა და გაცდა. იქ აღზრავინ არ დაუსვდა. მის
გვერდით კი მახინჯი მატლის მაგიურათ ლამაზი
ჭრელი ვეხელა იჯდა, რომელსაც ფრთები გაეძალა
და გასაფრენათ მომზადებულიყო.

იტა.





ქურქის ამბავი

ჩემი ქურქის რბილ ბეწვზე რომ მიადებ ხოლმე ლოყას, ჩემო თამრო, რატომ არა მკითხავ საიდან არის, ან ვისია ეკ ბეწვი. დაძიგდე უური, გაიძობ ამ ქურქის ამბავს:

„ოდესმე ერთი მეტათ ღარბი კაცი ცხოვრობდა. იმან იცოდა, რომ სამთარში ვეელას ესაჭიროება თბილი ტანისამოსი, მეტადრე რუსეთში, ვინვა რომ დიდი იცის, აუცილებლათ საჭირო იყო ქურქი და ამ კაცმა მოიფიქრა ლუკმა-პურის საშოვნელათ, თავის ცოლ-შვილის გამოსაკვებათ ენადირნა კარეულ მსუცებზე და იმათი ბეწვი ბაზარში გაეტანა გასასყიდათ.

მაგრამ ის ნადირნი, რომელთ ბეწვიც სათბუნებლათ გამოდგებოდა, ცხოვრობდენ სულ შორს, ცივ ქვეყნებში, ციმბირში.

ეს კაცი გაემგზავრა სწორეთ ექით, და დაიწყო მსუცებზე ნადირობა. მაგრამ მოჰკვლამდა თუ არა მსუცს—მაძინვე ვერ შესძლებდა დიდ ქალაქებში გაგზავნას. ძალიან შორს იყო მათგან. ერთხელ, როდესაც ეს კაცი ნადირობდა, მასთან მოვიდა მეორე კაცი და უთხრა: „შენ ნანადირევე ბეწვს მე ვიყიდი და ქალაქ მოსკოვში გაგზავნიო“ და ამ ახლათ მოსუღმა კაცმა სახლის აშენება დაიწყო სულ ახლოს იმ

ტექსთან, სადაც ნადირობდა ჰირველათ მისულ კაცი.

მაშინ მონადირემ საშველათ, თანაშემწეთ, აიევანა ადგილობრივი მცხოვრებლები—იაკუტები და ამკვარათ მხეცებზე ნადირობით ხალხი ასობით მოჭევა თავის რჩენას ამ გავერანებულ, ეინულიან უდაბნოებში. ამან გამოიწვია ქალაქების ახლო-მანლო ამენება. დიდ მდინარეებზე გემებმა დაიწვეს მისვლა-მოსვლა. გაცხოვლდა, აუვაგდა ცხოვრება იმ ადგილებში, სადაც აქამდის ადამიანის ჭაჭანებაც არ იყო. მონადირეებს რომ უფრო ახლოს მისდგომოდენ—არ იზარებდენ გზების საუკეთესოთ მოწობას. ამ კვარათ, ქურჩის წვალობით, ხალხი შევიდა ველურ ქვეყანაში.

აი ეს ბეწვი იმ ნადირისა, რომელიც ოდესმე დახეტიალობდა გავერანებულ ადგილებში, ადამიანის კვალის მოძორებით. ამ ნადირებს რომ იქ არ ეცხოვრათ ის ადგილები დღემდე ისევ გავერანებული იქნებოდა.

—სედავ, თამრო, დედა შენს რომ ველზე ჩამოკიდებული აქვს ბეწვი—მისი ამბავი აგრე ადვილათ მოსაყოლი არ არი. როდესაც წამოიზრდები—ბეწვეულობის მომზადებას და მითი ადებ-მიცემობას დაწვრილებით შეიტყობ.

ტასო.

(თარგმანი)



ჯუჯებთან *) სტუმრათ.



ეო და არა იეო რა, იეო ერთი ჰატარა ბიჭი, რომელსაც ერქვა თედო. მის ძამას თავის სარჩენათ აღებული ჰქონდა ცოტაოდუნი სახნავ-სათესი მიწა.

თედო სულ ჰატარა იეო, — ექვსი წლისა იქნებოდა და ძამას ხუნა-თესვაში ვერ ეხმარებოდა. მაგრამ წიგნს კი სწავლობდა, ძამას მინდორში სადილ-სამხარს უზიდავდა, დედას ბოსტანში შველოდა, არ იხარებდა და რაც კი შეეძლო ეველახფერს აკეთებდა.

ერთხელ თედოს სამხგელი საქმე დაეძართა, დედა ძამა გავიდენ ენაში სამუშაოთ და თედო სახლში მარტო დარჩა. მოძივდა ეძაწვილს, ოთახში შევიდა ჰუგამოსატანათ და უცბათ საცოდავი წრიჩის ჰინი შემოესმა:

— თედო, თედო! ძადლი მოიდე, გამიშვი, გამანთავისუფლე!

თედომ მიიხედა ხან აქეთ, ხან იქით, ვერავინ ნახა. არავინა ჩანდა. გულ-ძოსაკლავი წრიჩინი კი ხელ-ახლათ მოესმა.


— თედო, ჩემო კარგო, გამანთავისუფლე!

*) ჯუჯას — ზოგი ქონდრის კაცს ეძახის.

— ვინა ხარ შენ? სად წრიზინებ? ჰკითხა ბიჭუნამ დომ.

— შემომხედე, მახეში მოგუევი, უნახუსა თაგება. თედო მახეს მიუხსლოვდა და დანახა, რომ პატარა თაგვი უკანა ფეხებზე დასკუპებულა, წინა კი გულზე მიუკრავს და ევედრება:

— თედო გაძიშვი, თორემ კატას მიმცემენ და კატა კი შემჭამს.



— იმიტომ მიგიგდებენ კატას, რომ, ბელელში ჰურს არ გვიყენებ, უთხრა თედომ. მას ხშირათ გაუგონა დედის ჩივილი თაგვებზე.

— განა შენ, ან დედა და მამა შენი ჰურს არა სჭამთ? ჰკითხა თაგუნამ, — განა მათის გულისთვის კატის ლუკმათ გაუხდინა?



— ეგ სულ სხვაა, უნასუნა თედომ. — მამა —
 დედა უანაში მუშაობენ: სნაძენ, თესვენ, მკიან. მოჭ-
 ყავთ ჰური და აბა როგორ იქნება, რომ ჰური არა
 სჭადონ? მე კი იმიტომ ძაჭმევენ, რომ კავისრდები
 ვიძუშავებ. შენ კი არც თესავ, არც მკი და სხვის
 ჰურს კი ანადგურებ?

— ძართალი ხარ, უნასუნა თაკუნიაძე, ძაგრამ
 მინდა სიცოცხლით გავინარო, არ მინდა კატის
 ბრჭყალებში ჩავეარდე! გაშიშვი, თედო, გამანთავისუფ-
 ლე, შენი ჭირიმე განსაცდელისაგან დამიხსენ!

თაკუნია ისე ესვეწებოდა და ემუდარებოდა, რომ
 თედომ მასის კარები გაუღო.

— მშვიდობით, თედო! სიკეთეს გადავიხდი! და
 ერთ წამს ისე მოჭკურცხლა, რომ თედომ თვალი ვერ
 მოასწრო.

თედომ ჰურის მოდიდო ნაჭერი ხელში აიღო
 და სასეირნოთ გასწია. მიდიოდა, მიდიოდა ტყეში
 და ბოლოს გზა დაჭკარგა. ეძება, დიდხანს ეძება
 გზა, ძალზე დაიღალა, ერთ სის ძირს მიწვა და
 ჩაეძინა.

ამ ტყეში ცხოვრობდენ ჯუჯები. მათ მიწის ქვეშ
 ჭკონდათ ბინა: შიგ გამართული იყო დარბაზები,
 დერეფნები და მრავალი ოთახები. ისინი იშვიათათ
 ამოდიოდენ ზევით, ისიც მხოლოთ რომელნიც მამაც-
 ნი და გამბედავნი იყვენ.

მაისი იდგა. ორი მამაცი ჯუჯა ციცინათელას
 დასაჭერათ ამოძურა ზევით, მათთვის ციცინათელა
 ისეთივე გემრიელი საჭმელია, როგორც ჩვენთვის



ბატი და ინდოური, და ესენი სწორეთ მძინარე დოს წააწყედენ თავზე. ჯუჯებს ჯერ ძალზე შეეძინდათ. ამათ კაცი თავის დღეში არ ენახათ. მერე ცოტა არ იეოს გამხსნევდენ, ფრთხილათ, ფეხაკრეფით მიიპარენ და დაუწეეს სინჯვა.

თედო ძალიან მოეწონათ, მათზე სულ სამჯერ დიდი არ იქნებოდა. ეს ჯუჯა-მონადირენი გაიქცენ თავიანთ სამფლობელოში საოცარი ემაწვილის ამბის მისატანათ. ამოვიდენ ხეძოთ სსვა ჯუჯებიც. ეველას ძალიან მოეწონათ თედო.

— მოდი ჩავიუვანოთ ჩვენთან, გადასწვიტეს ეველამ ერთ ხმათ.

— ძაგის აწევას როგორ მოვასერხებთ, დაეკითხა ერთი ჯუჯა. — ადგილიდან სომ ვერ დავსძრავთ, გაიღვიძებს და გაგვექცევა.

იფიქრეს, ბევრი იფიქრეს და ბოლოს ერთი ემძაკობა ისძარეს: თედოს სწორეთ მათ დიდ დარბაზის ბანზე ეძინა, მათ გადასწვიტეს შიგნიდან დარბაზის ჭერის მიწა აედოთ და ემაწვილი, რასაკვირველია, თავის თავად დარბაზში ჩავარდებოდა.

ჯუჯებმა ხელში ბარი აიღეს, ჭერის ჩამონგრევას მოჰყვენ, ისე მუუაითად მუშაობდენ, რომ სუთ წამში თედო მათ სამფლობელოში გაჩნდა. თედოს არა დაუშავდა რა, რადგან ადრევე დიდძალი ბალიშები დააწეეს იმ ადგილას, სადაც ემაწვილი უნდა ჩამოვარდნილიყო, მაგრამ შეძინებით კი — მას ძალიან შეეძინდა. სანამ თედო თვალებს მოიფუნეტდა, გამოუსიხლდებოდა და გაცეცხული აქეთ იქით მიძოინებდა.



და, ჯუჯებმა სწრაფლათ დარბაზის ჭერი ისევე დასწრეს რეს და ემაწვილს გამოუცხადეს: დღეის იქით ჩვენი ტუვე ხარო. ეველა რკინის კარებები ჩაკეტილია და ვერსად ვერ წაგვინვალო.

თედო მოუვებ ჯერ მოწიწებით თხოვნას სასაღმრთო კამიძებითო, რომ ვერა გააწეო რა გაჯავრდა და დაეძუტა რა გაგწვევტამითო, რადგან პატარები და ბოროტები ხართო, მე კი თქვენზე დონიერიც და დიდიც ვარო.

— ტუვილათ ნუ გაიტარებთ მაგას გუნებაში, უთხრეს ჯუჯებმა, — ხელს გაიქნევ თუ არა — დიდ კოლოებათ ვიქცევით და ისე დაგვებთ, რომ ბედი იწვევლოთ.

მართლაც, როგორც კი თედომ ერთ ჯუჯას მუშტი მოუღერა, ის უვითელ ვეებერთელა კოლოთ გადაიქცა და ისეთი ძალით უკბინა თედოს, რომ მას მთელი კლავი დაუსივა და სიმწარით ტირილს მოჭევა. ეს ჯუჯაკალია ჭერში აფრინდა, იქ დიდ-ხანს იფრინა, იფრინა, მერე ძირს ჩამოვიდა და ისევ ჯუჯათ გადაიქცა.

თედომ ნახა რომ ამათთან ვერას გააწეობდა, ესენი კი ანუგეშებდენ.

— ნუ გეშინიან. ჩვენთან არა გაგიჭირდება რა. კარგათ გაჭმევთ, გასძევთ და არც რამეს დაგიძავებთ.

მაშინვე შეუდგენ ჯუჯები თედოსთვის ვანძმის სამხადისს. მოათრიეს თავიანთი უდიდესი ქვაბები, არ დახოკეს თავიანთი შენახული სარჩოსაბადებელი:

ბუხანკალებისაგან წვენი მოუსარშეს, ცაცხვის კვირტებიდან კაკლა პურები გამოუცხეს, მერე ლო-



კოკინა და ბელურების კვერცხების ერბოკვერცხი ართვეს, მას მოჭევა შემწვარი ბაუაუები, ბოლოს სამბახის უვავილის ტებილეულობა მიუტანეს.

ნუ გაცეცინებათ, ეს საჭმელები ისე გეძრეილათ იყო მოძხადებული, რომ თედო დიდის სიამოვნებით შეექცა. თუმცა ემაწვილი ნაღვლიანათ იყო, მაგრამ ათი ჯუჯას კერძი ერთ ელახათ გაასაღა.

— მოიცა, დიდი გავსდე, უთსრა მან ჯუჯებს, — მე თქვენ გიჩვენებთ სვირს, იმდენსა ვჭამ, რომ ვერ შეძინასავთ.

— ნუ რა გეტკინოსთ რა, სანამ ბევრი ჩაილურის წყალი ჩაივლის, უპასუხეს ჯუჯებმა.

ვანძამ შემდეგ თედო მოასვენეს. ჯუჯების ორმოცდა ათი საბანი დაასურეს, ძილი ნებისა მოასვენეს და გავიდენ. გარედან კარები მაგრათ ჩაუკეტეს და ღარჯი დაუვენეს.

თედო ხედავს რომ ძისი საქმე ცუდათ არის, მან ბალიშებში თავი ჩაჭყო და მოჭევა მწარეთ ტირილს. ახლა ხომ უდედამამოთ მოუსდება მას მიწის ქვეშ უმხეოთ, ბნელაში ცხოვრება და უფრო ამოუშვა ქვითინი.

ემაწვილმა უცბათ იგრძნო, რომ ლოყაზე ვიღაც უღიტინებს. გაიხედა და ნახა რომ ბალიშზე თავივი ზის.



ჯუჯა ტრომბო.



— გამარჯვება, თედო! ტყვეთ მენც ხაზარდისა ჰკითხა თავგება.

თედომ უფრო ამოუშვა ტირილი.

— ცუდათ არის შენი საქმე ჩემო, თედო! განზარდობო თავგება. — ჯუჯებს ეველა რკინის კარები მაგრათ აქვთ ჩაკეტილი, ვერ გაეცევი, არც თვითონ გაგიშვებენ, თავიანთ სათამაშოთ გაცისდიან!

— შენც ამათ ხელში ხაზარდი? შეეკითხა სლოკინით თედომ.

— არა. მე მინდორში ძმისწული, მინდვრის თავი, მუავს. ძისი ნათლი-მამა თხუნელა მიწაში ცხოვრობს, ამ ჯუჯების ახლოს, მან გაიგო შენი ამბავი: მინდვრის თავი მანთან სტუმრათ მივიდა, შეეტყო ეველაფერი და მოიბინა ჩემთან ამბის გადმოხსაცმათ. მეც გადავწვიტე შემველა შენთვის, სამაგიერო სიკეთე მინდა გადაგისადო. ჩემის თხოვნით თხუნელამ და მინდვრის თავგება ნათესავების და ნაცნობების დახმარებით ხელათ გათხარეს მიწა და შენთან მოსასვლელი გზა გამიკეთეს. აი, ხედავ კუთხეში ნახვრეტს?

— მე ვერ გავალ შიგ? ჰკითხა თედომ.

— ვერ გაეტევი, მაგოდენა სარ! უზასუხა თავგება.

— რა არი, გაადიდეთ ეგ განსასვლელი! თედომ ხვეწნა დაუწყო.

— აბა, ჩემო თედო, ისეთ დიდ განსავალს, რომ შენ გაეტო საამ წელიწადსაც ვერ გავთხრით. ჯუჯებიც შეამჩნევენ და მოგვაჯადოებენ. მე უკეთესი მოვიგონე. შენ ლაღათ ჯუჯა ტრომბა მოგიყენეს,




მოძულელათ დაგინიძნეს, მან უნდა საჭმელები მოგართვას ხოლმე. შენც იცოდე, რამდენიც უნდა მოგიტანოს, სულ იძახე ცოტა, ცოტა და როცა ის გავა ოთანადან, იმ სოროდან გამოვლენ დიდ ძალი თაგები, ეველაფერს შესწამენ და ისევ ძიძალებიან, რომ ჯუჯამ არა ნახოს. ჩვენ ხომ იცი რა ძალიან ძარღნი ვართ! ჯუჯები საჭმელებს კვლავ დაამხადებენ, ჩვენ კი რამდენიც უნდა იეოს გავასადებთ. იმათ ეგონებათ, რომ შენა სჭამ მაგდენს. მობეზრდებით მაგისთანა ღორმუცელას შენახვა და თავიდან მოგიშორებენ. სანამ დილაშდის იძინე მშვიდათ, მერე ვნახოთ რა იქნება! სოროს ჰირი კარგათ დაუცე, თორემ შენი ლალა შეამჩნევს და ხეირს არ დაგვაურის, მშვიდობით! თაგვი ჩამოსტა ქვეშაგებიდან და თავის სოროსაკენ გაექანა, რომელიც თხუნელამ კედელში გაუთხარა. თედომ სოროს ქვა ააფარა და ისევ ჩაწვა ღოგინში.

როდესაც თედომ დილით გაიღვიძა ძრისხანე სახის გრძელ წვერა ტრომბამ შემოუტანა ოქრომკედის ტანისამოსი, აბრეშუმის წინდები და ხავერდის ფოსტალები. ჯუჯებს ეს ეველაფერი ლაბე მოემხადებინათ თავანთ ახალი სათამაშოსთვის. ეველამ ცნობის მოვარეობით თავი მოიუარა, რომ ენახათ თედო ახალ ტანისამოსში გამოწეობილი. მას ატრიალებდენ და აქეთ იქით სწევდენ, როგორც ნამდვილ სათამაშოს.

— რას ჩამციებინართ? გაბრახებით შეჭყვირა თედომ. — სჯობია მაჭამოთ რამე, მძიან.

— ახლავე, ახლავე, ჩვენო თოჯავ, უნახეს



ჯუჯებმა, — ჩვენ ეველანი წავალთ სამუშაოზე, ციხეებში კი შევხვებით ორმოც ჯუჯას საუხმის მოსამზადებლათ.

ჯუჯები წავიდ-წამოვიდენ თავ-თავიანთ სახელოს-
ნოებსში სამუშაოთ. სასოგადოთ ისინი ძალიან მშრო-
მელნი არიან, ხელობა კარგი იციან და საქმეებიც
ეოველთვის ბლომითა აქვთ.

ორმოცი ჯუჯა შეუდგა საუხმის გაკეთებას თე-
დოსთვის, ლაღს ტრომბომ გაძალა სუფრა და საჭმე-
ლების ზიდვა დაიწყო. ზიდა, ზიდა, მთელი სუფრა
გაავსო.

გავიდბ თუ არა ტრომბო ოთანადან თედომ სო-
როს ზირი ახადა, იქიდან აუარებელი თავგები



გამოვიდეს — დათვლითაც ვერ დათვლიდა კაცი. სუფრასე რასე ასტენ და ერთ წამს მოსვლინეს ეველაფერი და ისევე სისწრაფით როგორც გაჩნდენ — ისეც მიიძალენ.

— ჩემო დედოფალო, რა ძალე შეგიჭამია ეველაფერი, გაკვირვებით უთხრა ტრომბო, როდესაც შემდეგი საჭმელი შემოუტანა.

— რათ იძლევით ასე ცოტას! საუვედურით უთხრა თედომ.

გაიქცა ტრომბო სამხარეულოში და უბრძანა რომ ამას იქით მოემსადებინათ ერთი ორათ, ოცი კერძის მაგივრათ — ორმოცი და მერე დიდი ვაი ვაგლახით თედოსთან შეხიდა ეველაფერი.

ოთანადან გავიდა თუ არა ლაღა, სელ ახლათ თაკვებმა ამოიბინეს და ახლახანს ეველაფერი. თედოც მიეშველა. ერთი წუთის შემდეგ სუფრასე აღარაფერი დაჩნა. თაკვები კი ისევე მიიძალენ.

ტრომბო რომ შემოვიდა ჭურჭლის გასატანათ, თედომ ჩივილი დაიწყო:

— თქვენ მე მძიერს მომკლავთ. განა შეიძლება ასე ცოტას მოტანა.

ტრომბოს ისე გაუკვირდა, რომ თვალები დააჭყიტა. მაშინვე სამხარეულოში გაიქცა და უთხრა:

— ამხადეთ, ამხადეთ, მძებო, რაც შეიძლება მეტი. ჩვენი დედოფალი შიმშილით არ მოგვიკვდეს!

ჯუჯუბი საჭმლებს შეუსვენებლივ ამხადებდენ და ამხადებდენ, მაგრამ თაკვები და თედო ერთ წამში ახადებდენ, ნამცეცვიც არა რჩებოდათ.

მთელი დღე ჯუჯუბი უნდებოდენ საჭმლების გა-



კეთებას, თაკვები კი დაუსარებათ შეექცეოდნენ. დიძე თედოს განსათავისუფლებლათ მთელი სათაკვეთი გროვდებოდა.

საღამოზე, როდესაც სამუშაოდან დანარჩენი ჯუჯები დაბრუნდნენ, ორმოცი ჯუჯა და ლალა ტროძბო დაღალვისაგან ცოცხალ-მკვდარი დაუსვდნენ და საკუჭნაოში ნამცეცი ხორაგი აღარ მოიპოვებოდა.

— ეს რა ამბავია? იკითხეს ჯუჯებმა.

— როგორ თუ რა ამბავია, უპასუხა ტროძბომ— ჩვენი დედოფალი ჯერ კიდევ საუხმობს! როგორ უნდა მოუხროთ მაც ღორმუცელას. ერთ დღეში ჩვენი მთელი წლის ხორაგი გაათავა და იქნება შიმშილი-თაც მოგვიკვდეს.

გაოცდნენ ჯუჯები.

— ჭაი და, ჩვენო დედოფალო!

ამათ თავი მოიყარეს, თათბირი გამართეს და ერთ ხმათ გადასწევით, რომ ამისთანა გაუძამდარი დედოფალი—სათამაშო თავიდან უნდა მოვიძოროთო და მერე რაც შეიძლება ძალეო, ეს გამოუსწავდეს თედოს და უთხრეს:

— მამა-შვილობას, თავიდან მოგვმორდი.

თედოსაც სომ ეს უნდოდა.

— კარგი, წავალ, უთხრა მან სინარულით, ძშვილობით!

ჯუჯებს ეველას ხელი ჩამოართვა, იმათაც თავიანთი აჩახინები მოიხადეს და დიდის ამბით გამოიუვანეს თავიანთ ხერელიდან.

ამის მეგობარი თავკვი შემოთ დაუსვდა.



ჯუჯებთან სკუძრათ.

— ჩქარა გასწი სახლში! და უჩვენა საითაც
უნდა წასულიყო.

თედომ მადლობა გადაუხადა ამას, ხელი ჩამო-
ართვა და სახლისკენ მოჰკურცხლა.

მივიდა შინ და გადაჰს რომ მისი დედ-მამა კა-
რებზე სხედან და მწარეთ ტირიან.

უბედურები თურმე თედოს მთელი დღე დაემე-
დენ, მაგრამ ჯერ ეპოვათ და შვილი უცბათ თავს წა-
ადგათ, მერე რა მოართული.

ახლა მათ ბედნიერებას ბოლო არა ჰქონდა.

ან. წერეთლისა.

(თარგმანი)





ღ ი ლ ა

გ. წერეთლის სახსოვრათ.

(წაკითხული ნაღია მამაცაშვილის მიერ)



ძინდა ზრახვით
და სურვილით
იას ვეძებდი,
იასა,

მაგრამ ვერ შევხვდი იმ ტურფას,
ნახსა და თვალ-ლურჯ დიასა.

ვეღარ შევკონე გვირგვინი
ჩემი ლამაზი იისა,
ვეღარ შევაძკე სურათი
აი ამ ძვირფას ძიისა.

ან კი რათ უნდა ევაფილნი,
ისევ სომ ძაღუ სჭკნებიან,
მსოლოთ ასეთი ჰირნიკი
მუდამ უკვდავთ რჩებიან.

ჩაგრულთა გულში აიგო
ძან მეკლი სიუვარულისა
და სხვებთან ერთად მეცა მსურს
ვკადრო საღამი გულისა.

გ. ქუჩიშვილი.



ბ ე კ ე კ ა



ერთათ ერთი სათამაშო ჰატარბ ვანოსი და ნატოსი იყო ბამბის ქულისსავით თეთრი, ლაბაზი თხა, რომელსაც ბავშვები ბეკეკას უძახოდენ.

საზოგადოთ თხებმა ძალიან იციან შეჩვევა. მისი ჰატარბ შეგობრები სდაც უნდა წასულიყვენ, ისიც უნდა თან გაჭეოდოდა.

ბეგრი ეშმაკობა ასწავლეს ბეკეკას ბავშვებმა. მაგალითათ: წინა ფეხებით დაიჩოქებდა და თავს უკრავდა, უკანა ფეხებზედ შედგებოდა და ცეკვავდა. თვალსუჭუნასაც კი ეთამაშებოდა თავის ძასწავლებლებს. დღე და ღამ მათ არ შორდებოდა, ღამეც იმათთან ეძინა სოლმე.

ერთხელ ვანო და ნატო შორს ტეეში წავიდენ, სიშორის გამო ბეკეკა სახლში დატოვეს. ბეკეკამ ვერ მოითმინა უიმათობა და უკან გამოუდგა.

ბეგრი ეძება თავისი შეგობრები, მაგრამ ვერ იპოვა. ძებნით მოღალეული საწვალდი ბეკეკა მივიდა ერთ ღობის ძირას, მოიკუნტა და შორთო გულსაკლავი ბღავილი.



აქვე ახლო ერთი მდიდარი კლესის იდგა, ეს კლესი თავის ავკაცობით ვეელას ეჯავრებოდა. მას მრავალი საქონელი ჰქუავდა, ჰქუავდა აგრეთვე თხებიც, მაგრამ ბეკეკასთან ანც ერთი არ იყო.

სწორეთ ამ დროს, როდესაც ბეკეკა ღობის ძირას მოკუნტული იჯდა და გულ-საკლავათ ბღაოდს, ეფრემამ (ასე ეძახდენ მდიდარ კლესს) ურძით სახლში ბრუნდებოდა.

სახლს რომ მიუახლოვდა თნის ბღავილი მოესმა. ურემი შეაყენა და იქვე ღობის ძირში მშვენიერი თეთრი თხა დაინახა.

— რა მშვენიერი თხაა! სინარულით წამოიძახა ეფრემამ. საჩქაროთ ურძიდან გადმოხტა, ბეკეკა აიყვანა, ჭილობით ფეხები შეუკრა, ურემში ჩადო და გააქცია სახლისაკენ.

— რა ძვირფასი საჩუქარი მიმაქვს ჩემი ცოლისთვის, ფიქრობდა ეფრემამ.

ეფრემამ იცოდა, რომ თხას ძალე ჰატრონი გამოუჩნდებოდა და დაეშურა, როგორმე ბეკეკა მიემალა.

მივიდა თუ არა სახლში, თხა თავლაში შეარბუნინა, და თავისი ჰატარა მსახური მოიხმო:

— აბა, ჩქარა, ვასო, მომიტა მაკრატელი და შავი საღებავი, რომლითაც მატელს ვღებავთ სოლმე.

ჰატარა მსახურმა მამინვე მოუტანა ვეელაფერი. ეფრემამ ბეკეკა საჩქაროთ გადაკრიჭა, შავი საღებავით შეღება მისი ბაძბის ქულასავით თეთრი ბაღანდი და მატელი კი შეახვია ცოლისთვის მისართიევით.

— ესლა ამას ველარავინ იცნობს და ვერც
 მიბედვენ ამის წართმევას.

მერე მიუბრუნდა მოსამსახურეს და უთხრა:

— გესმის, ეს ამბავი არავინ შეიტყოს! თორემ
 მოგკლამ!

ზატარა ვასო იყო უზატრონო ობოლი, ეფრემა
 სამხდლოთ აჭმევდა ლუკმა ჰურს.

— კარგი, ბატონო, არავის ვეტყვი, მოწიწებით
 უპასუხა ვასომ.

მერე ეფრემა წავიდა თავის ცოლთან და მიართ-
 ვა ბეკეკას მატელი.

— აი, რა მძვენიერი საჩუქარი მოგიტანე, რო-
 გორც უურთუკი ისეთი რბილია, ჩასაცმელი რამე
 მოიქსოვე.

ვასო და ნატო რომ დაბრუნდენ ბეკეკა, სახლში
 აღარ დაუსვდათ. ემაწვილები გამოვიდენ კარში, ბეკ-
 რი უძახეს, მაგრამ ბეკეკა არსად ჩანდა.

ძვიდენ ეფრემას გომურამდისაც. ამ დროს ეფ-
 რემა თავის ეზოში ინდოურებს და ქათმებს სთვლი-
 და, ბავშვები დიდის მოკრძალებით მიუახლოვდენ ეფ-
 რემას, შიშით კი სმა ვერ ამოედოთ.

— თქვენ ეი, რა გინდათ? დაუვირა ეფრემამ.

— ჩემო ბიძია, დანიწყო ნატომ, ჩვენი თეთრი
 თხა სომ არ გინახამს? იქნებ აქეთკენ გამოიარა, ან
 უცაბედათ თქვენ თხებში სომ არ გაერიო? შენი ჭი-
 რიძე, ბიძია, მითხარი თუ დაგინახამს.

— ჩვენი თხა დღეს დაგვეკარგა, ტარილით
 დაუმატა ვანომ.



ეფრემა ძოილუძა და რისხვით უთხრა:

— ძერე მე რა, რომ დაკარგეთ?

საწყალ ბავშვებს თითქო გული ეუბნებოდა, რომ მათი ბეკეკა აქ უნდა ეოფილიყო და ესვეწებოდენ, ემუდარებოდენ, რომ როგორმე მოელობოთ მისი გაქვავებული გული.

— უსათუოდ თქვენ გომურთან ჩამოვიდოდა, რადგან ჩვენ ტყეში ამ გზით წავედით. იწამე ღმერთი, მითხარი, ჩემო ბიძია, იქნებ აქ სადმე იყოს, ან თქვენ თავლაში ხომ არ შესულა?

ბავშვები არ ეშვებოდენ, ტიროდენ. მუდამ მკაცრს და გულ ქვავ ეფრემას ტირილი სმულდა და ამიტომ დანაჩქარა ამათ თავიდან მოძორება.

— გასწით აქედან! მომშორდით! დაუევირბ მან ბავშვებს:—სე თქვენი თხა არა შეავს და არც მინახავს.

— ღმერთო ჩემო, ესლა რაღა ვქნა? სთქვა ნატომ ტირილით,—საცაა დაღამდება და ჩვენი ბეკეკა-კი ვერ ვიპოვეთ.

— გესმით თუ არა, თქვე მანწანწალებო, წადით აქედამ! ხელმეორეთ დაიდრიალა ეფრემამ—თქვე გზა დაკარგულეხი, თქვენა, მათხოვრებივით რომ დაესეტებით.

იმედ დაკარგულნი ბავშვები იქვე ახლო გზის ზირათ ქვანე ჩამოსხდენ და მწარე ფიქრებს მიეცენ.

მზე ჩადიოდა, ნახირი ბრუნდებოდა, ცას ნელ-ნელა ბინდი ეფარებოდა. ამ დროს ვიღაც მიუხანლოვდა ნატოს და კაბაში სწვდა.



შეშინებულმა ნატომ მიისედა ჰატარა ვასო და მისი
ინაზა: ის აქეთ იქით იუბრებოდა, ეშინოდა რომ ბატონს
არ დაენახა და საჩქაროთ უურბი უჩურჩულა:

— ნუ გეშინიათ, თქვენი თხა ჩვენ ბატონს ჰყავს
დამალული.

ამ დროს ვასოს მოესმა თავის ბატონის მკაცრი
მანხილი: — ვასო, ვასო, სად ხარ?

ვასო საჩქაროთ გადასტა ღობეზე და მივიდა
თავის ბატონთან.

ვანო და ნატო კი გულ-დაწვეტილი, უიმედო-
ნი წაუიდენ სახლისკენ.

მთელი ღამე ამ საწუალ ბავშვებს, თვალი არ
მოუხუჭნიათ, სულ ბეკეკაზედ ფიქრობდენ.

კათენდა თუ არა, ბავშვები ისევ ბეკეკას ძებნას
შეუდგენ და ისევ ეფრემას კომურს მიადგენ, მაგრამ
ეზოში შესვლას კი ვერ ჰბედავდენ.

ამ დროს ბავშვებმა დაინახეს კზაზედ მოდენილი
ეტილი, რომელიც ზარების წკარა-წკურით ეფრემას
ეზოსთან შეახერეს. შეეტლე გადმოსტა, რომ ცხენე-
ბისთვის წვალი დაეღევიანებინა. ეტეობოდა ვიღაც
დიდებული კაცი იჯდა ეტილში. ვასომ მიიჩინა
ეტილთან და მდაბლათ თავი დაუკრა. ვანო და ნატოც
მიუახლოვდენ და ცნობის მოუვარეობით შესცქერო-
დენ.

— ეს მსაჯულია! ჩურჩულით უთხრა ვასომ
ვანოს და ნატოს, — ეს მოვიდა ქურდების და ავაზა-
კების დასაჭერათ.

ნატო ამ სიტყვებზედ შეკრთა და გულში რაღაც
იმედი მიეცა.



— იქნებ გვეძველოს და ჩვენი ბეკეკაც გვეძველოს? ხომ შეიძლება, ეფრემას უბრძანოს, რომ ჩვენი ბეკეკა დაგვიბრუნოს?

ამ ფიქრებით გატაცებულმა ნატომ თავის ძმას ხელი დაუჭირა, მსაჯულთან უფრო ახლოს მივიდა და ორთავემ დაუჩიქეს.

— თქვენო აღმატებულებავ, ტირილით ემუდარებოდნა ნატო, მოისმინეო ჩვენი თხოვნა.

მსაჯულმა წამოაყენა ბავშვები და ალერსით ჰკითხა:

— რა არის, ბავშვებო, რა გატირებსთ?

ნატომ უამბო ეველა დაწვრილებით.

მსაჯულმა მოისმინა საჩივარი და უბრძანა შეეტლეს, რომ ეტლი ეფრემას ესოში შეეყვანა.

ეფრემა გამოეკება და დაბლა თავი დაუკრა. ის მისვდა რაშიაც იყო საქმე.

— გამოიფანე ახლავე ამათი თსა, უბრძანა მსაჯულმა ეფრემას.

— ეგ გოგო სულ სტყუის, თქვენო აღმატებულებავ, ნუ დაუჯერებთ, მე სულ შავი თხები მეავს, ეგ კი თეთრს ეძებს.

— გამოიფანე ეველა შენი თხები, ხელმეორეთ სასტიკათ უბრძანა მსაჯულმა.

თხები რომ გამოიფანეს თავლიდან, ნატომ და ვანომ ფიცხლავ იცნეს თავიანთი ბეკეკა.

— აი, აი ჩვენი ბეკეკა, სინარულით წამოიფანეს ორთავ ბავშვებმა. თავიანთ ბეკეკას დაუწიეს ალერსი. ბეკეკა ახლა ისეთი ღამაში ალარ იყო.



— ძაგათი თხა სომ თეთრია, წამოიძახა ეფრემი
 მამ თავის გასაძარტლებლათ.

მსაჯულიც თითქოს ეჭვში შევიდა. ბავშვები თეთრს
 ებებენ, აქ კი ეველებ შავია.

— აბა ესლა რითი დაამტკიცებთ, ბავშვებო,
 რომ ეგ თხა თქვენია?

ბავშვებს ეს ძალიან გაესარდათ და მაშინათვე
 დაუწვეს ბეკეპას თამაშობა:

— ბეკეპა, მოკვდი! უბრძანეს ბავშვებმა. მართლაც
 ბეკეპა მკვდარივით გაწვა და დასუჭა თვალები.

— ბეკეპა, იცეკვე! ბეკეპა წამოსტა და დაიწყო
 ცეკვა.

— შედექ რქებზედ, ბეკეპავ! ბეკეპამ ესეც შეას-
 რულა.

-- ახლა მოდი ბატონთან და თავი დაუკარ.

ბეკეპა ძივიდა ახლოს მსაჯულთან და დაბლა
 თავი დაუკრა.

— აბა, ეფრემ, ესლა რილათი გაიძარტლებ თავს?
 უთხრა მსაჯულმა.

ეფრემა შერცხვენილი იდგა.

— ამ ბავშვებს რომ ეჩივლათ შენ ქურდობაზე,
 მაშინ მე შენ ციხეში ჩავსვამდი, მაგრამ ამითთვის
 შენი ციხეში ჩასმა არაფერია. ესენი შენებრ გულ-
 ქვაკები არ არიან. ამას იქით გამიფროსილდი. ახლა
 კი შენ დასასჯელათ ამით უნდა სუთხეთი მანეთი
 მისცე ტანსაცმელისთვის.

ეფრემას არ ეჭაშნიკა მსაჯულის გადაწვევტილე-
 ბა, მაგრამ რას ვაწუობდა. კიდევ კარგი, რომ ასე
 ვადარჩა.



— მოდით, ბავშვებო, ჩასხედით ჩემთან ეტლით
 თქვენი ბეკეკათი, სახლამდის მიგიყვანთ, უთხრა მსა-
 ჯულმა ბავშვებს.

პატარა ვანო სწრაფლათ ამოუჯდა მეეტლეს გვერ-
 დში, ნატო კი თავის ბეკეკათი მსაჯულს ჩაუსხდენ
 ეტლში.

ეტლი დაიძრა.

— მეც, მეც წაშიყვანეთ თქვენთან ერთად, ემუ-
 დარებოდა ვანო მსაჯულს და თან სირბილით მის-
 დევდა ეტლს.

მისი დაფლეთილი ტან-საცმელი და გადაფით-
 რებული კამსდარც სახე ამტკიცებდა, რომ ეფრემას
 სახლში მისი ცხოვრება აუტანელი იყო.

მსაჯულს შეებრალა და უბრძანა, რომ ეტლი შე-
 ეჩერებინათ.

— შენ ვიჯასი ხარ? შეეკითხა მსაჯული.

— მე არაგისი, უპასუხა ვანომ— ობოლი ვარ.

— ძამ მოდი, წაგიყვან ჩემთან, შენთვისაც გა-
 მოხნდება საქმე.

ვანო აცოცდა ეტლზე და მეეტლეს მეორე გვერ-
 დით მოუჯდა. ეტლი დაიძრა და კარგა ხანს გაისა-
 მოდა ხარების წკარავკურთი.

ანიკო.

(თარგმანი)





გამოცანები.

1. ხალიჩაში გავეხვიე ეშმაკი და ქაჯივითა,
ჩონგურზედა ვათამაშებ კაი ვაჟი-კაცივითა.
2. დამაცადე, ყიყო, ბატონთან რა გიყო,
პერანგი შემოგახიო, თავი ცეცხლში ჩაგიყო.
3. დახე ჩემსა რიჩხინასა, მკვდარი ცოცხალს იქირავსა.
4. უძლო, უფხო, დიდი მქმელი,
გაძღება და გაგორდება.

საკასუსო კითხვები.

ერთმა კაცმა უჩვენა თავის მეგობრებს ერთი ყმაწვილის სურათი და უთხრა: მე არც დები და არც ძმები მყავს, მაგრამ ამ ყმაწვილის მამა—მამაჩემია. გამოიცანით, ვისი სურათი იყო?

ამ დღეებში ერთი უცნაური სანახავი ვნახე, თქვა სიკომ: მინდორში ორი ცხვარი იდგა, ერთი ჩრდილოეთისკენ გაიყურებოდა, მეორე სამხრეთისკენ. ცხვრები თავებს თუ არ მოიბრუნებდენ, როგორ ხახავდენ ერთმანეთს?

ვალეკო სამი წლის შემდეგ გახდება სამჯერ უფროსი, ვიდრე სამი წლის წინეთ იყო, გამოიცანით, რამდენი წლისაა ახლა?

სალხური ლექსი.

პეპელაო, დაჯექ კაბას შეგიკერავ,
ქრელსა-ქრელსა აფხაზურსა.


წაიკითხეთ რა სწერია ამ უჯრებში.

| | | | |
|-----|-----|-----|------|
| შო | მა | რეს | ცავს |
| ლო | ბო! | ალ | შვე |
| დგო | მი | ბავ | ქრის |

თამაშობა.

ბაირალი: მოთამაშენი ორ ჯგუფათ დაიყოფებიან. ეზო-ში ან მინდორში გრძელ ხაზს გაავლებენ და თითო ჯგუფი ხაზის შორს ოც, ან ოცდა ათ ნაბიჯზედ დადგება. ყველა მოთამაშე შუა გზაზე სტოვებს რომელიმე თავის ნივთს: ცხვირსახოცს, ხელთათმანს, ან კიდევ რასმეს და აი ამას ბაირალებს უწოდებენ. მისცემენ ნიშანს თუ არა პირველი ჯგუფი დაიძვრის ადგილიდან, სამზღვარს გადავა და ცდილობს მოიტაცოს სხვისი ნივთი—ბაირალი. ზოგი ახერხებს ბაირალის მოტაცებას და თავის ადგილზე დაბრუნებას. ზოგს კი მოპირდაპირეები იჭერენ და ტყვეთ მიჰყავთ. ახლა მეორე ჯგუფი დაეცემა თავს პირველს. წაყვანილი ტყვეები შველიან ბაირალების წართმევაში. თითო ბავშვს არ შეუძლია ერთი ბაირალის მეტი მოიტაცოს. ის ჯგუფია დამარცხებული, რომლებსაც ყველა ბაირალებს წაართმევენ.

რ მ ბ უ ს ი.




მ
81,

100
კაპ.

მ
ს



8




ა ხ ს ნ ა.

გამოცანებისა: სადღეებელი, ზარი, სარკე.

სამათემატიკო გამოც.: 81—729, ერთ ბიქს 5 კაკალი ჰქონდა, მეორეს 7 კაკალი.

ამოცანა: რვა ჩხირი რომ გამოვაკლოთ დარჩება





სამშობლოში



ათელი და გამკვირვალე
წითლად ელავს ცის კამკამი...
და ყვავილის ნაზ ფურცელზე
მღერის, ტოკავს ბროლის ნამი!..
დილა არი, მწვანე ბუჩქნარს
სიო კულულს უხუჭუჭებს...
მოციალე სხივთა ჩქერი
ღიმილს აფრქვევს ვარდის ტუჩებს!..

—
მთაზე ვდგევარ და შორს მოსჩანს
ტყით მოსილი მთის კალთები.
აქეთ ტურფა ველი ჰყვავის, —
იქით კიდევ სხვა მინდვრები!.

ვიშ, ამ არეს!.. ვერცხლის შხეფებს
ცვრებათ ამსხვრევს მთის ჩანჩქერი —
მიყვარს... მიყვარს ეს მიდამო,
მიყვარს მხარე მშვენიერი!..

ვ. გორგაძე.



თეთრი პრწივი

მოთხრობა.



რთ დიდ ქალაქის განაპირა უბანში იდგა განმარტოვებით ვეებერთელა სახლი, მას გარშემო შემოვლებული ჰქონდა ათასგვარი ჩუქურთმებით მორთული მშვენიერი რკინის მოაჯირი, რომელიც წვიმისაგან და თოვლისაგან დაეანგებულებოდა და მოუვლელივით წაქცევასაც ლამობდა. თვით სახლის კედლები წყალს ჩამოერეცხა, ზოგიერთა ფანჯრების შუშები დამტვრეულიყო. შესავალ კარების აქეთ იქით დადგმული იყო ორი მარმარილოს ქანდაკებანი, რომელთაც ხელები დამ-

ტვრეოდათ და მტვრისა და ქუქუცისაგან საცოდავთ გამოიყურებოდნენ. ამ სასახლეში ცხოვრობდა ერთი მდიდარი მოხუცებული გრაფინია, რომელსაც მოსამსახურეთ ჰყავდა ძიძაქალი თავისზედ უფრო მოხუცებული და ერთიც კარის-კაცი სიბერისგან ყრუ ორთავ ყურით. გრაფინიას მართალია დიდი სიმდიდრე ჰქონდა, მაგრამ ბევრ საქველ-მოქმედო საქმეებსაც უძღვებოდა, მხოლოდ სახლში მასთან არავინ დაიარებოდა და არც უყვარდა, რომ მოსამსახურები ბევრი ჰყოლოდა. გრაფინიას ყველა შვილები დაეხოცა, ქმარი-კი ახალგაზრდობაშივე ომში მოჰკლეს, ისე რომ ამ მოხუცებულობაში გრაფინია სრულიად მარტოკა დარჩა. მართალია მას ჰყვანდა ერთი შვილი-შვილი, მაგრამ ის სამზღვარ-გარეთ ცხოვრობდა და სამშობლოში სრულებით არ ჩამოდიოდა.

ქმრის მოსაგონებლათ გრაფინიას ჰქონდა ერთი ნივთი, რომელიც ეფეშქაშნა ქმარს ამისთვის ქორწილის დღეს. ეს იყო



თეთრი არწივის საფრთხული*)—გრაფს ქორწილის დილით მოეკლა თავის აგარაკში. ამ არწივს გრაფინია არას დროს არ იშორებდა, როგორც უძვირფასესს ნივთს ინახავდა და ეს რომ ქმრის ნაჩუქი იყო ძლიერ იმიტომ უყვარდა. არავის ახლოს არ აკარებდა და მტვერსაც კი თითონ სწუმენდა. მაგრამ ყველაფერი დროთა გავლით ფუჭდება და არწივსაც ეს დღე ეწვია, თეთრი ბამბასავით ფერი ყვითლათ ექცა, ფრთებიც ბლომათ დასცივიდა... გრაფინია ამას ვერ ამჩნევდა და კვლავინდებურათ სიყვარულით შესცქეროდა და თავის იშვიათ სტუმრებს აღტაცებით უამბობდა ხოლმე, როგორ მისმა მეუღლემ უფემქაშა მას ეს ძვირფასი საჩუქარი. ამასთან ერთად ხელებს შემოხვევდა არწივის საფრთხულს, ჰკოცნიდა მას და თვალებიდან შწარე ცრემლები გადმოსდიოდა, წარსული ბედნიერება აგონდებოდა.

II.

კარგა დიდხანს სცხოვრობდა მყუდროთ მოხუცებული გრაფინია თავის ძიძით და ყრუ კარის კაცით. დრო გადიოდა ერთგვარათ, უფერულათ. ერთ საღამოს გრაფინიას საწოლ-ოთახში შევიდა ძიძა, რათა ეშველნა თავის ქალბატონისთვის ტანსაცმელის გახდა, მაგრამ მას უცბათ გული აუჩუყდა და ტირილი მორთო.

— რა დაგემარია, ძიძა?—ჰკითხა შემინებულმა გრაფინიამ.

ძიძამ უამბო, როგორ ამ დილით მას შეხვდა კალატოზი ანდრია, რომელიც ძალიან გაჭირებული და ღარიბ-ღატაკია, უბედურს ცოლი წყალში დახრჩობია და ხელზე ორი შვილი ჰყავს: ვაჟი რვა წლისა და ქალი ექვსი წლისა.

— ასეთი გონიერი, და ლამაზი ბავშვები მე ჯერ არ მინახავს,—უთხრა ბოლოს ძიძამ და სთხოვა თავის ქალბატონს ნება მიეცა იმისთვის, რომ სახლის ქვემო სართულში დაებინავებინა გრაფინია მაშინათვე დათანხმდა, და მეორე დღეს ანდრია თავის ორი შვილით გადავიდა მათ სახლში. ამ დროიდან ანდრიას მდგომარეობა შეიცვალა, ბევრი გაჭირვების, წინწალის და უბინაობის შემდეგ ბედის კმაყოფილი გახდა.

*) საფრთხული—რუსულათ „Пугало“ არის.



მას ჰქონდა თბილი თავშესაფარი და თავისუფლად მშვიდობით
სამუშაოთ ევლო, დარწმუნებული იყო, რომ კეთილი გრა-
ფინიას ძიძა უყურადღებოთ არ დატოვებდა იმის ბავშვებს.
როდესაც ბავშვებმა ცოტათი მაინც დაისვენეს, მშიერ-მწყურ-
ვლობა თავიდან აიცილეს, მაშინ ანდრიამ დაიწყო მათი
საქმეზედ მიჩვევა. ვაჟს ჰგზავნიდა ბაზარში წუმწუმების და
ლილის გასაყიდათ, რომლის გაკეთებაც თითონ იცოდა, მხო-
ლოდ ქალს ასწავლა კერვა და პატარა პარკებს ლილის ჩა-
საყრელათ აკერვინებდა. ხანდისხან პატარა დაია, ზაბი, თავის ძმა
გოგას წაჰყვებოდა ხოლმე ბაზარში და ორთავენი ერთათ
ჰყიდდენ წუმწუმას და ლილას და მათი ვაჭრობაც დღე და
დღე მატულობდა...

III.

მაგრამ მათი მყუდრო ცხოვრება ხანგრძლივი არ იყო.
დადგა გაზაფხული, ქალაქებში დაიწყეს შენობების აგება და
ანდრიას, როგორც კარგ ხელოსანს, მიანდეს ერთი დიდი
სახლის აშენება.

მშვიდობიანათ გავიდა ერთი თვე. ანდრია ყოველ საღა-
მითი ბრუნდებოდა სამუშაოდან თავის „ჩიტებთან“ მხიარუ-
ლი და კმაყოფილი.

მაგრამ ერთ დღეს ანდრია სამუშაოდან სახლში აღარ
დაბრუნდა, შეშინებულმა ბავშვებმა მთელი ღამე ტირილში
გაატარეს.

დილით ძიძამ ბაზარში გაიგო, რომ საბრალო ანდრია
შენობიდან ჩამოვარდნილიყო და იქვე მომკვდარიყო. ძიძას
არ უნდოდა ბავშვებისთვის გაეგებინებინა მამის უბედურება,—
და უთხრა, რომ სხვა ქალაქში წავიდა მამა თქვენით და დიდ-
ხანს არ დაბრუნდება... გრაფინიამ გაიგო თუ არა, მაშინ-
ნათვე უბრძანა ძიძას ბავშვები ამოეყვანათ მალლა სართულ-
ში, სამხარეულოს გვერდით ოთახში. მერე გასცა ბრძანება,
რომ ყმაწვილები სკოლაში ეტარებინათ, თითონ გრაფინიამაც
მოისურვა ბავშვების ნახვა და ამიტომაც არ უშლიდა, რომ
შესულიყვენ მის ოთახში. იქ ისინი კუთხეში მიიკუნჭებოდენ
ხოლმე და ჩუმათ ათვალთქვებდენ სურათებიან წიგნებს და
სტკებოდენ თეთრი არწივის საფრთხულის ყურებით. გრაფი-

ნია ხანდახან უამბობდა ბავშვებს თავის თავგადასავალს, წარუთხრობდა
სულ ამბებს:



— გაუფრთხილდით, ბავშვებო, ყველაზე უმეტესათ ამ არწივს! უმეორებდა ყმაწვილებს რამდენჯერმე გრაფინია.— ეს არწივი უბრალო არწივი არ არის.

IV.

ღრმათ მოხუცებული გრაფინია გარდაიცვალა. საყვარელ ქალბატონს დიდხანს გლოვობდენ: ძიძა, კარის-კაცნი და მის სახლში ახლათ შეკედლებულნი ბავშვები; ბოლოს ძიძამ გადასწყვიტა საქმეს შესდგომოდა, და გრაფინიას შვილი-შვილს დებეშა გაუგზავნა მომხდარ ამბავზედ. რამდენიმე დღის შემდეგ ახალგაზრდა გრაფი, მოხდენილი და ლამაზი ყმაწვილი კაცი, ჩამოვიდა. ყმაწვილი კაცი ძალიან გულცივით მოექცა



დიდედის სარჩოს. რადგანაც თვითონ მას ოთხჯერ ნება ჰქონდა, მაგრამ მთელი ავეჯეულობა მაინც საჯარო ვაქრობით გაყიდა, — დარჩა მხოლოდ თეთრი არწივის საფრთხული, არავინ ისურვა მისი ყიდვა, როგორც უსარგებლო ნივთისა. მაშინ ძიძამ სთხოვა, ეს არწივი ბავშვებისთვის ეჩუქებინა გრაფინიას სახსოვრათ. ახალგაზრდა გრაფმა ყური არ ათხოვა ძიძის უხონვას და უბრძანა არწივი გადაეღლით, როგორც გამოუსადეგარი და უვარგისი ნივთი; ძიძამ მაშინვე აიღო არწივის საფრთხული და ბავშვების ოთახში გააქანა. ყმაწვილებმა ძლიერ გაიხარეს თეთრი არწივი რომ დაინახეს. ახალგაზრდა გრაფმა მოათავა ყველა საქმეები და ისევ საზღვარ-გარეთ წავიდა, სადაც მას ჰქონდა საუცხოვე სასახლე. ბებერი ძიძა და კარისკაცი კი სიკვდილამდის წინანდებურათ გრაფმა დასტოვა თავის დიდედის სახლში.

V.

ასე გავიდა ზაფხული და შემოდგომა, დადგა ზამთარი; მოახლოვდა შობა-დღესასწაულები. მოხუცი ძიძა და კარისკაცი ისევ ცოცხლები იყვნენ, მაგრამ ძრიელ დაუძლიერებულნი. ეხლა მათ უფლიდენ ეს ობლები: დადიოდენ ბაზარში სანოვავის საყიდლათ, ანთებდენ ცეცხლს, სწმენდენ იატაკებს, და საქმლის გაკეთებაც შეისწავლეს. ბავშვები წინანდელი სიკეთისათვის ამ ორ მოხუცს სამაგიეროს უხდიდენ. ესენი მამას ხშირათ იგონებდენ; მაგრამ ეგონათ, რომ მამამ კი უცხო ქალაქში ისინი დაივიწყა. მართალია ენანებოდათ მშობელის დაკარგვა, მაგრამ ორნი რომ იყვნენ და ეს კეთილნი მოხუცნი — ძიძა და კარისკაცი — აძლებინებდენ მათ...

მომავალი ბედნიერი დღეების მოლოდინში ბავშვები ცოტათი არ იყო სწუხდენ. მათ უნდოდათ მხიარულობა და სიცილი, ამათ იცოდენ, რომ შობა დღეს ყველა სახლებში მართავენ შობის ხეს, მათ კი არ ექნებოდათ.

შობის წინა დღეს, საღამოს, პატარა ბაბი თავის ლოგინზედ იწვა და სთვლემდა, გოგა ფანჯარაში იჯდა და ქუჩაში გაიყურებოდა. მან დაინახა, რომ ერთი გლეხი მოდიოდა და თან მოჰქონდა ორი ნაძვის ხე.

გოგა საჩქაროდ წამოხტა ქუჩაში გავიდა გლეხს წინ გადაუდგა და უთხრა:

— გვაჩუქე, კეთილო კაცო, მე და ჩემ დას ერთი წიგნიც მოგცემ?

გლეხი შეჩერდა და უთხრა:

— ჩუქებით ვერ გაჩუქებ და თუ გინდა მოგყიდი. რას მომცემ?

— ჩვენ მხოლოდ ერთად-ერთი თეთრი არწივის საფრთხული გვაქვს, — უთხრა გოგამ.

— აბა მიჩვენევი, როგორია?

გოგა მაშინათვე გაიქცა სახლში და თეთრი არწივი ძლივ ძლიობით გამოიტანა და მისცა გლეხს:

გლეხმა ხელში ასწია თეთრი არწივი და უთხრა:

— რა მძიმეა! მე მგონი, რომ ეს ძალიან ძვირფასი რამ უნდა იყოს: შენ ეს კარგა დაიხსომე.

— მე არ ვიცი რამდენი ღირს, — უთხრა გოგამ, — მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ გრაფმა ბრძანა ამის გადაგდება და ძიძამ კი ჩვენ მოგვცა.

— არა, ეს ფრინველი უთუოთ ძვირათ ღირს, მე კი არ გამომადგება, — გაიმეორა გლეხმა და გაიღიმა, — განა ამის მეტი არაფერი გაქვთ?

— მეტი არაფერი.

— მაშ ერთ პატარა ნაძვს გაჩუქებ!.. უთხრა გლეხმა, — საღ წამოვიღო, გამიძეხი!..

გოგამ სიხარულით გლეხი წაიყვანა თავიანთ ოთახში; გლეხმა შეამჩნია მძინარე ყმაწვილი და ჰკითხა:

— ეს ვილა არის?

— ეს ჩემი დაა ბაბი, სძინავს!

— მაშ ვიდრე მაგას სძინავს, მოდი მოვრთოთ შობის ხე — უთხრა გლეხმა. — აბა, — უყურე!

აიქნია გლეხმა ხელი, — და უფეროდ მთელმა ნაძვის ხემ იფეთქა სხვა და სხვა ფერ ცეცხლით, — ხედავს გოგა მთელი ხე განათებულია და ზედ ათასგვარი სათამაშოები ჰკიდია, — ოქროს კაკლები, კამფეტები და ნაძვის ხის ქვეშ კი მათი თეთრი არწივი დგას.

— ხომ ნახე? უთხრა გლეხმა და გაიცინა. — იცოდე არწივის ძალიან გაუფრთხილდი. და ამ სიტყვების შემდეგ სწრაფლ მიიწაღა.



— ადექი, ადექი! მოესა უცბათ გოგას ვილასიტი... უყურეთ, როგორ ვაგულდულა ძილით!.. გოგამ თავი შლივს ძლიობით ასწია. მას თავზედ ადგა მოლიმარი ძიძა, კარის კაცი და მისი და.

— მაშ ყველა ეს შობის ხეზე სიზმარი იყო?—თქვა დაღონებულმა გოგამ.

ამ დროს ოთახის შუა გულში თვალი მოჰკრა პატარა შობის ხეს და მის ქვეშ მდგარ თეთრს არწივს.

— სად არის ის გლეხი?—გაკვირვებით იკითხა გოგამ.

— რომელი გლეხი?—გაიცინა კარის კაცმა.—შენ დასზე ნაკლებათ არ ჩადინებია! იმასაც სიზმარში შობის ხე უნახავს, —ვითომ ჩვენი ქალბატონი გრაფინია ურთავდა შობის ხეს, სანამ თქვენ გეძინათ, მე და ძიძამ თქვენთვის მოვრთეთ ეს შობის ხე.

— იციო, გლეხმა კაცმა მიჩრია, თეთრ არწივს ძრიელ გაუფრთხილდითო,—ძიძას და კარის კაცს ისევ გაეცინათ.

— ისე ვაგულდულა ეს ძილით, რომ ჯერ ვერ გამოფხიზლებულა! სჯობს ახლო მოხვიდეთ ხესთან და გარეშემო იცეკვავოთ,—ეგ ეჯობინება ყველას!..

ორთავე ბავშვები გაიქცენ ხესთან და გარეშემო სირბილი დაიწყეს.—მოდო ეს ჩვენი არწივიც ვავამხიარულოთ და ვათამაშოთ,—წამოიძახა გოგამ და ერთ ფრთაში ამან მოავლო ხელი, მეორეში დამ და ის იყო უნდა შემოეჭრიალებინათ, რომ შიგ არწივში რაღამაც დაიქეჯა და შუაზე გადაიშალა. იქიდან რაღაც მძიმე პარკები გადმოცვივდა,—შეშინებული ბავშვები ერთ წამს გაშეშდნენ.

— ოჰ, თქვე, ონავარებო!.. შესძახა ძიძამ,—არ იქნა მაგ არწივს მაინც ბოლო მოუღეთ!.. და დასწვდა პარკს, იქიდან ბრჭყვიალა ძველი ოქროები გამოცვივდა... ამ ხმაურობაზე მოუახლოვდათ კარის კაციც; აიღო მეორე პარკი და იმაშიაც იგივე აღმოჩნდა.

— ოჰ, სასწაულო! — იძახდა ვაკვირვებული ძიძა!—ეს რა მოჩვენებაა!

გოგას გაეცინა და უთხრა:

— აკი გითხარით, გლეხმა მითხრა მეთქი, ძვირფასია ეგ არწივიო და გაუფრთხილდითო!.. ჩვენი ქალბატონიც ხომ სულ

მაგას ჩაგვიჩინებდა. ეს საფუხული ხომ ჩვენია, — მაშ ფულიც ჩვენი უნდა იყოს...

— დიახ, ფული თქვენია, — დადასტურა ძიძამ, — მაგრამ საჭიროა ვაცნობოთ ახალგაზრდა გრათს.

მაშინვე მისწერეს გრათს, და იმავ თვის დამლევს მოვიდა მისგან შემდეგი წერილი ძიძისა და ბავშვების სახელზედ:

„მე დიდი ხანია გავიგე, — იწერებოდა გრათი, — რომ მაგ არწივის საფუხულში ფულია შენახული, მაგრამ ფულს ვთვლილი დაკარგულათ. — ეს გავიგე გრაფინიას ქალაქებში ნაპოვნ ანდერძში, რომელშიაც ამხელდა არწივის საიდუმლოებას. მაგ ფულს გრაფინია აძლევდა თავის აღზრდილ ობოლ ბავშვებს, — და განსვენებულის სურვილი უნდა ასრულდეს. ეგ დაგიტოვათ იმან, თქვენ ბავშვებო“.

ასე თავდებოდა გრაფის წერილი.

ვანო საათაშვილი.

(თარგმანი)



ჩრდილოეთის ელვარება




ამით ყინულეთი ყოველთვის წყვილი-
დით კი არ არის მოცული: არა, ვარ-
სკვლავებისა და მთვარის წყალობით
იქაურს ღამეებშიაც იცის ცოტაო-
დენი სინათლე. მაგრამ ყველაზე უფრო
შესანიშნავია იქ ერთ-ნაირი სინათლე
ღამით, რომლითაც ცა ხშირად ელვა-
რებს ხოლმე. ეგ არის ერთი მრავალ
საკვირველებათაგანი ყინულეთისა. ხან-
გრძლივს ღამეებში, როდესაც მზე დიდი ხნით
მოშორდა პოლუსის წრის არე-მარეს, ცაზე
ხან და ხან გამოჩნდება ხოლმე რაღაც სხვა-
ნაირი სინათლე, განთიადის მსგავსი. თავ-

დაპირველათ იგი ჰორიზონტის კიდურზე გამოჩნდება წვრი-
ლი ზოლივით. შემდეგ თან და თან იწევს ღოღამე მალლა ცაზე,
თან და თან უფრო და უფრო ფართოვდება და გარდაიქცევა
დიდ ვეებერთელა სინათლის გრკალათ, მსგავსათ ცისარტყელისა,
რომელსაც ერთი ფეხი ჰორიზონტის ერთს კიდურზე უდგას და
მეორე ფეხი მეორე კიდურზე. კაცს ეგონება ვისმე განგებ მო-
უხაზავს დიდი ფართო ზოლი ცის კამარაზეო. გრკალი თან
და თან უფრო მეტს სიგრძეს იჭერს ცაზე, სინათლეს მატუ-
ლობს, თან და თან უფრო და უფრო ელვარებს და ისვრის
მალლისკენ სხივებს ჯგუფ-ჯგუფათ, კონებათ. ელვარება აქვს
სხვა და სხვა ფერი — ხან თეთრათ ელვარებს, ხან მომწვანოთ,
და სხვა. ამ მოვლენას უწოდებენ სახელათ ჩრდილოეთის ელ-
ვარებას.



როდესაც მოეღვარე გრკალი ააწევს ცაზე იმ სიმაღლეზე, რომელიც ჰორდაპირ დასცქერის თავზე ადამიანს,




ჩრდილოეთის ელვარება გრკალივით.

შემდგომ გადაიხრება ჰორიზონტის მეორე მხარისაკენ და თან და თან დაეშვება ცის კამარაზე დაბლისაკენ. ამ დროს ფერიც ეკარგება თან და თან და ბოლოს ჰქრება. ამ სახით ერთს გრკალს, რომელმაც გადაგვიარა თავზე, მეორე გრკალი მოჰყვება, მეორეს—მესამე და ამასობაში მთელი ცა გაშუქებულია სინათლით. ეს სინათლე მთვარის სინათლესა ჰგავს, მხოლოდ შედარებით მთვარის სინათლესთან უფრო სუსტია, მაგრამ მისი წყალობით ადამიანს შეუძლია საკმაოდ კარგად გაარჩიოს გარშემო მდებარე ადგილები და საგნები. უბედურობა ისაა მხოლოდ, რომ ჩრდილოეთის ელვარება ხანგრძლივი არ არის: სულ დიდი რომ ვსთქვათ, რამდენსამე საათს გასტანს, უფრო ხშირად კი გრძელდება მხოლოდ ოცს ანუ ოცდა ათს წამს, ბეტს არა.

ჩრდილოეთის ელვარების დროს ყურადღების სხვათა შორის ის გარემოებაც, რომ მას ვარსკვლავები ვერ დაუჩრდილავს და მათი სინათლე გამოსჭვივის ხოლმე მოელვარე გრკალიდან, ეს მოვლენა კი გვაფიქრებინებს, რომ ელვარება უფრო ახლოს არის ჩვენზე, ვიდრე ვარსკვლავები.

ჩრდილოეთის ელვარება ხან და ხან სხვა სახითაც მოგვევლინება ხოლმე. თავდაპირველათ გამოჩნდება ჰორიზონტზე მქრალი სინათლე. შემდგომ ის სინათლე მიიღებს ფართო ლენტის სახეს, რომელიც მალლა-მალლა იწევს ცაზე და ამ დროს თან და თან უფრო ნათლათ მოჩანს, უფრო კაშკაშებს; მერმე ლენტი იწყებს რხევას, თითქო ართისო, იკლაკნება გველივით და მიმოიხრება, გეგონება უნდა დაიკეცოსო; მერმე კი ისევ გაიშლება. ერთის სიტყვით სულ ცვალებადია მისი სახე და ამასობაში ადვილსაც იცვლის. სახის ცვლილების დროს ლენტი ერთნაირად როდია განათებული: სინათლე დელავს მასზე, მიმოდის ლენტის ერთი ბოლოდან მეორემდის ზვირთების მსგავსათ. ხანდახან უცებ შესუსტდება მისი სინათლე, მაგრამ შემდგომ ისევ მალე აენტება და იწყებს კაშკაშს წინანდელზე უფრო ღონიერათ. ამასობაში ლენტი აღის



ჩრდილოეთის ელვარება ლენტივით.

ცაში თან და თან უფრო მალლა. ერთიც ვნახოთ, იგი დაწვეტილი და ორ ნაწყვეტათ: ზევითა მისი ნაწყვეტი კიდევ უფრო და უფრო ელვარებს, კაშკაშებს ცისარტყელის ფერათ. ამ დროს იგი ისვრის ფერად-ფერად სხივებს: წითელს, ყვითელს, მოწითლო ყვითელს, მწვანეს, ლურჯს, იისფერს. ამისთანა სურათი უდგას ხოლმე თვალის წინ ადამიანს ხან და ხან მთელი საათობით და მშვენიერი რამ არის ეს სურათი ჩრდილოეთის ელვარებისა. ბოლოს ელვარება იწყებს დაბინდებას და გაქრება ისე მოკლედნელათ, როგორც მოგვევლინა.

აი როგორ აგვიწერს ჩრდილოეთის ელვარების სურათს ერთი სახელ-განთქმული მოგზაური ნანსენი:

„რა ლამაზათ კაშკაშებდა და რა მშვენიერი სანახაი იყო ჩრდილოეთის ელვარება! იმისთანა საუცხოო რამ იყო, რომ მე და ჩემი ამხანაგები ვერ გავძლებოდით ხოლმე მისი ცქერით. რაც უნდა საქმე გვქონოდა, რაც უნდა მსუბუქათ ვყოფილიყავით ჩაცმულნი, როგორც კი მოგვესმოდა ვისიმე ხმა, ელვარება იწყებო, მაშინვე ამოვცვივდებოდით ხომალდის ბანზე და თითქო მოჯადოებულნი ვიდებოთ და ვუცქეროდით მას, სანამ ხელ-ფეხი სულ არ გაგვიშეშდებოდა ოცდათხუთმეტ გრადუსიანი ყინვისაგან“.

„ერთხელ, საღამოს ხომალდის ბანზე აველ. ღმერთო ჩემო, რა განვიცადე, კინაღამ გავქვავდი განცვიფრებისაგან! თავის დღეში არ მინახავს ამისთანა საუცხოო რამ ფერადები! პირველად ყვითელი ფერადი სქარბობდა სხვა ფერადებს, მერმე ყვითელ ფერადში თან და თან იწყო გამორკვევა მწვანემ. დასასრულ გრკალის ქვედა ნაწილი შეიღება ლალ-წითელი ფერითა. გავიხედეთ შორს დასავლეთისაკენ, სადაც ჰორიზონტი მოჩანდა; იქიდან ცაზე თითქო ვეებერთელა გველი ვაწოლილიყო და იკლაკნებოდა. თვალი ველარ მოვაშორე. იგი თან და თან უფრო ნათლოვანი შეიქნა. მერმე გაიყო სამათ, სამათ გაწყდა ის გველი. სამხრეთისაკენ რომ იყო, ის ნაწყვეტი წითლათ შეიღება და ზედ ყვითელი წინწკლები გამოჩნდა; შუათანა ნაწყვეტი გაყვითლდა, იმან კი, რომელიც ჩრდილოეთისაკენ იყო, მომწვანო თეთრი ფერი გადიკრა. გველის ორივე გვერდით ხშირმა სხივებმა ამოაშუქეს, რომელნიც ლაპლაპობდნენ, იქით-აქეთ იხრებოდნენ; ხან გამოჩნ-



დებოდენ, ხან გაჰქრებოდენ, ხან უფრო ნათლოვანდებოდენ და ხან უფრო მკრთალი; თითონ გველები კი იკლანებოდენ სხივებს შორის, თითქო მათ გარს უტრიალებენო, და ისე აღიოდენ თან-და-თან მალლა ცამდის“.



ჩრდილოეთის ელვარება გველივით.

„ხანდახან იმისთანა საუცხოო სანახავი იყო ელვარება, რომ სუნთქვა შეგვიგუბდებოდა და ვიდექით გაშტერებულნი... უცებ სხივებმა გაითამაშეს, აქრელდენ სხვა და სხვა ფერადებით და ჩაჰქრენ. ჩვენ სულ განაბულნი ვიდექით. ისე მოგვიჭირა აუტანელმა ყინვამ, რომ ის იყო უნდა ჩავსულიყავით დაბლა, ხომალდში, ამ დროს სხივთა კონები ხელახლა აენტენ. იმისთანა მომხიბლავი ფერადები დავინახეთ, რომ თვალი ვეღარ მოვაშორეთ: ვიდექით იქ და ვიყავით, სანამ არ ვიგრძენით, რომ ყინვამ ყურები და ცხვირი წაგვაცალა. ბოლოს ელვარების გათავებისას იმისთანა მრავალ-ფეროვანი შუშხუნა გაიმართა ცაზე, ისე აენტო ყოველი მხრით მაშხალები,

ისე მოედვა მთელ ცას, რომ ვიფიქრეთ ცაზე აღარ ეტევა
 ღლი, უთუოდ ძირს ჩამოვარდება და მთლად მოედება
 თოვლით შემოსილ ვაკეებს და ყინულით მოცულს ზღვასა
 თქო“. ამ დროს თოვლიანი ვაკეები ლამაზათ ბრჭყვიალებ-
 დენ და ნაპეოწკლებს ისროდენ, ხოლო თხემები ყინულის
 ბუმბერაზ მთებისა ღვივოდენ სხვა და სხვა ფერად, ვითა
 ძვირფასი თვლები გვირგვინში.

სწავლული ადამიანების ფიქრით ჩრდილოეთის ელვარე-
 ბის სინათლე მსგავსია იმ სინათლისა, რომელიც ელვაში
 ჰკრთის ჭექა-ქუხილის დროს. ყინულეთში იმისთანა ჭექა-ქუ-
 ხილი როდი სცოდნია, როგორც ჩვენში იცის; იქაური
 ჭექა-ქუხილი უხმაურო ყოფილა და ის არის თურმე, რომ
 მოგვევლინება ჩრდილოეთის ელვარებათ.

ალ. ჭიჭინაძე.



წერილების და ფოსტის კავსავენ-გამოგზავნის ისტორია.

დასაწყისი ახლანდელი ფოსტისა.

(ბერლინისა)




აშუალო საუკუნოების დასაწყისში ევროპიელთა ქვეყნები განიცდიდენ დიდ გაჭირვებას. ბარბაროსებმა დაიპყრეს რომაელთა მონარქია და ჩააქრეს თავიანთი ევრაგობით ყოველისფერი, რითაც სახელი გაითქვეს რომაელებმა. მათი სახელგანთქმული ქალაქები ახლა ნანგრევებს წარმოადგენდენ; აღებ-მიცემობის საშუალებით გაცხოვლებულნი გზები მიყრუვდენ, განადგურდენ.

ალარ წარმოებდა საერთო დაცვა, საერთო კანონი, ეწინოდათ ერთს—მეორისა, სოფლებში იმალებოდენ, თავიანთ ბინის მიტოვებას ვერ ბედავდენ. მიივიწყეს ის კავშირი, რომელმაც რომაელების ვეებერთელა მონარქიიდან შეჰქმნა თითქმის ერთი მთლიანი ქალაქი. ცხოვრება შეიცვალა, გაქსუვდა, ევროპიელებს ხელ-ახლათ უნდა გაემართათ გზები და საქმეები მოეწყოთ გონივრულათ და განათლებული ცხოვრების შესაფერათ.

ამ პირქუშ დროში არა თუ დავიწყებული იყო სწავლავანათლება, თვით წერაც კი აღარავინ იცოდა და ეხლანდელი ველურებივით ცოდნა მიაჩნდათ რალაც გრძნებათ. წერაკითხვის მცოდნე ადამიანი ისეთი იშვიათი მოვლენა იყო, რომ ხელმწიფე სიკვდილით დასჯილს აპატიებდა ხოლმე, თუ დამნაშავე აღმოჩნდებოდა ანბანის მცოდნე.

ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნოში მემპტიანე აქებს გერმანელ გრაფს ფრიდრიხს და ასახელებს მას, როგორც საოცარ პირს, რომ შეუძლიან „წერილი წაიკითხოსო“. XII საუ-



კუნოში გამოჩენილ რაინდ—პოეტებ შორის იყვენ ისეთები, რომლებსაც არ შეეძლოთ თვითონ დაეწერათ თავიანთი თხზულებები და უკარნახებდენ მწერალს.

ამ გაუნათლებელ დროში წერილები იშვიათათ იწერებოდა. ხალხს ერთმანერთ შორის კავშირი არა ჰქონდათ და თუ აცნობებდენ ერთმანერთს ამბებს, ისევ ზეპირათ გადაცემ-გადმოცემით.

ასეთი ამბების გადამტან-გადმომტანი, ცოცხალი გაზეთი იყო ხოლმე, ვინმე მოხეტიალე, რომელსაც ჟონგლერს უწოდებდენ. ამან ყველაზე იცოდა ხოლმე, — შეეძლო სიმღერით თავი შეეყოლებინა, ეამბნა ლეგენდები, არაბეთიდან შემოტანილი ამბებით გაერთო ხალხი, მოერჩინა კბილი, რამე ჯამბაზობა ეჩვენებინა. იმგვარ მოსაწყენ დროში ყველას უხაროდა მისი



სტუმრობა, როგორათაც ციხე-დარბაზებში—აგრეთვე ქალაქებში. მოგზაურობის დროს ის აგროვებდა ახალ ამბებს, რომ მერე სხვებისთვის გადაეცა. მას სახელი ჰქონდა გავარდნილი მარჯვე და გამოცდილი ადამიანისა, და ხშირად როშავდა ათასგვარ უცნაურ ამბებს და ამითი აკვირვებდა გულ-უბრყვილო მსმენელებს, უამბობდა თავის მოგზაურობას და თავგადასავალს ეკვიპტეში, თავის მუსაიფს სულთანთან. ამავე დროს



ის ავრცელებდა ახალ-ახალ სიმღერებს, რომლებსაც მან დაწერა დელი პოეტ-რაინდები თხზავდნენ ცხოვრების ყოველ მოვლენაზე. ეს სიმღერები მალე მოეფინებოდა მთელ სახელმწიფოს და იმ დროისთვის გაზეთის და წიგნის მაგივრობას უწყევდა. მათში აღიბეჭდებოდა იმ დროის ყოველისფერი აღშფოთება და დარდი; იგინი აღვიძებდნენ და აცხოვლებდნენ აზრს, აფხიზლებდნენ და ატყობინებდნენ თუ რა ხდება სახელმწიფოში საგულსისხმო. ეს სიმღერები ბადავდნენ მრავალ ხალხის გულში ერთ და იგივე გრძნობას და მისწრაფებას. ამიტომაც იმ დროს, როდესაც გერმანელ იმპერატორს და რომის პაპის ჩხუბი ჰქონდათ უპირატესი უფლებების ხელში ჩასაგდებათ, ამბობდნენ, რომ პოეტ ვალტერ-ფონ-დერ ფოგელვეის მთელ ჯარზე უფრო მეტი გავლენა ჰქონდა, რადგან ერთი თავისი ლექსით, რომელიც მოედება მთელ ქვეყნიერებას, შეეძლო მოეპოვა იმპერატორისადმი ყველას გული.

ამ გვარათ მოამბეების გარდა, შუა საუკუნოებში შემოღებული იყო საგანგებოთ შიკრიკების გზავნა, რომელთაც უნდა გადაეცათ პირადათ ამბები. XII საუკუნოდან უკვე დაიწყეს ბარათების გაგზავნა-გამოგზავნა. ამ დროს ევროპიელთა საზოგადოება მოჰყვა გამოღვიძებას ამოდენა ხნის მიყრუებულ და გაოხრებულ მდგომარეობიდან. ქალაქებში ისევ დაიწყო მრეწველობა; შეიკრა კავშირი სხვა და სხვა ადგილებთან შორის. გამოცოცხლდა ყველგან აზრი, გაჩნდა ისეთი ხალხი, რომელიც დაეძებდა ცოდნას და იკრიფებოდა იმ ქალაქებში, სადაც იმ დროს არსდებოდა უნივერსიტეტი.

ასეთ გამოცოცხლების დროს, როდესაც ევროპის სხვა და სხვა საზოგადოებების ნაწილთა შორის შეიკრა კავშირი, რასაკვირველია, ბუნებრივათაც უნდა დაწყებულყო წერილების მიწერ-მოწერაც და როგორც ყოველ კულტურულ დაწყებაში, აქაც დიდი სარგებლობა მოიტანეს დამხმარებელთა კავშირებმა, უროდლისათაც საშუალო საუკუნეს კაცს არ შეეძლო გვერდი აექცია. რომელიმე ადგილას ერთ-ერთ ვაჭართა კავშირს, რომელსაც მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონდა სხვა ქალაქებთან, კისრულობდა წერილების გადატან-გადმოტანას. მეორე ადგილებში ნამდვილი ფოსტის კანტორები დააარსეს უნივერსიტეტების სათვისტომოებთან.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ რიგით ფოსტის შიკრიკების საშუალებით გაჩაღდა წერილი მისვლა-მოსვლა დიდ ქალაქებში, სადაც ვაჭრობა აკავშირებდა მრავალ პროვინციის ქალაქებს, ფოსტის მოწყობას თვითონ ქალაქი იღებდა თავის თავზე და ჰყავდა საკუთარი მოსამსახურეები — შიკრიკები. თვალსაჩინო ქალაქ ნიურნბერგის შიკრიკები მიდიოდნენ სამხრეთისკენ — ვენეციაშიაღ და ჩრდილოეთისაკენ — ამსტერდამშიაღ. მე-XIII—XIV საუკუნოებში გრაფები თავიანთ საჭირო-საქმეების მიწერ-მოწერისათვის აარსებდნენ ფოსტის დაწესებულებებს. უწინდელ შიკრიკებთან ერთად გზებზე ნახავდით ცხენოსნებს, რომელნიც სცვლიდნენ ცხენებს სადგურებზე, თავდა პირველათ ასეთ ცხენოსნებს მიჰქონდათ მხოლოდ სახელმწიფო სიგელები და მეფეების მიწერ-მოწერა. შემდეგში, როდესაც ფოსტის საჭიროება აუცილებელი გახდა შეიგნეს, რომ სახელმწიფოც და ცალკე პროვინციებიც დიდ შემოსავალს ნახავენ, თუ ფოსტის მოწყობას იკისრებენ და წერილების მიტან-მოტანისათვის ფასს გადაახდევინებენ. ამ მიზნით დიდ ქალაქებში დაარსდა ფოსტის კანტორები, დაარსდა ახალი თანამდებობა ფოსტის უფროსისა, რომელიც წერილებს არჩევდა და დანიშნულებისამებრ გზავნიდა, თვალ-ყურს ადევნებდა დროზე წასულიყვენ ცხენოსანი ფოსტალიონები. ბუკის ხმაზე მოქალაქეები გაიგებდნენ, რომ ფოსტა მოვიდა და მიეშურებოდნენ კანტორაში ზოგი იმისათვის, რომ მიეღოთ წერილები, ზოგიც, რომ გაეგოთ რას იწერებიათ უცხო ქალაქებიდან და ადგილებიდან.

მე-XVI საუკუნეში ასეთ ფოსტას ჰქონდა მიმოსვლა მთელ ჰაბსბურგების იმპერიაში, რომელიც გადაჭიმული იყო უნგრეთიდან ისპანიამდე და იტალიიდან ჰოლანდიამდე. ფოსტალიონი გახდა საერთოთ ყველას მსახური — თავის პარკში მას გადაჰქონდა იმპერატორის სიგელები, ვაჭრების მიწერ-მოწერა და სწავლულების მეგობრული წერილები.

იმ დროს ევროპიელების ცხოვრებაში მოხდა დიდი ცვლილება: ვაჭრობა და მრეწველობა ძლიერ განვითარდნენ, მართა ჰოლანდიას ჰყავდა 1000 სავაჭრო ხომალდი. საყურადღებოთ მიაჩნდათ გაგება თუ რა ხდება დედა-მიწაზე, ქვეყნიერებაზე. ცხოვრებაში მუდამ მოძრაობა, ცვლილება იყო და




ადამიანს სურდა ახალი ამბების შეტყობა; თვითონაც არც
 რებდა სხვებს ყველაფერს, რაც იცოდა და ფოსტალიონის აბ-
 გა თანდათან მიძიმდებოდა ამოდენა წერილებისაგან. სწავ-
 ლულს **ერაზმს** ჰყავდა კორესპონდენტები ევროპის ყოველ-
 კუთხეში, მეგობრების და თაყვანის მცემლების წერილები ასო-
 ზით მოსდიოდა. მდაბიო ხალხსაც უყვარდათ წერილების მი-
 წერ-მოწერა და გაზიარება იმისი, რაც მათ აღელვებდა.

ამ დროში, როდესაც ყველას ცოდნის წყურვილი გაე-
 ღვიძა—დაარსდა პირველი გაზეთი. მისი დაარსება მოხდა დიდ
 შეკავშირებულ საზოგადოებათა შორის. ესენი დაკავშირებულ-
 ნი იყვენ შორეულ ადგილებთან და ყოველ კუთხიდან ფოს-
 ტის მოსვლაზე დიდ-ძალი ახალი ამბები მოდიოდა. ხალხი შე-
 ეჩვია ახალი ამბების გადაცემ-გადმოცემას, რომელსაც ამოი-
 კითხავდნ წერილებიდან. აქვე ახალ ამბებს ჩასწერდნ და
 გადასცემდნ გასაგზავნათ უფრო შორს, სხვა ქალაქებში.
 სურვილი ასეთი ცნობების მიღებისა იყო იმდენათ ძლიერი,
 რომ მეფეებს და დიდ სავაჭრო ფირმებს ჰყავდათ დიდ ქალა-
 ქებში თავისი კორესპონდენტები, რომელნიც აცნობებდნ
 ყოველ გვარ ამბებს. მაგრამ ამბების შეტყობის სურვილი ძლი-
 ერი იყო არა მარტო წარჩინებულ პირთა შორის, საზოგა-
 დოთ ყველასთვის, ხალხის სურვილის დასაკმაყოფილებლათ.
 გამჭირახი პირები ფოსტის მოსვლისთანავე ავრცელებდნ ხელთ-
 ნაწერ ფურცლებს, რომლიდანაც მსურველნი ტყობილობდნ
 უკანასკნელ ახალ ამბებს. ასეთ ფურცლებიდან მე-XVI საუ-
 კუნეში შეიქმნა პირველი გაზეთი. რადგანაც ფოსტა მოდიო-
 და კვირაში ერთხელ, გაზეთიც კვირაში ერთხელ გამოდიოდა.
 იბეჭდებოდა პატარა წიგნაკათ და სავაჭრო ცნობებთან, პოლი-
 ტიკურ ახალ ამბებთან შიგოყო მოთავსებული აუარებელი ზღა-
 პრები, მაგალითათ, რომსადაც ტყეში გაჩნდა ლეგენდარული
 მხეცი, ან დაუჭერიათ უცნობი არსება, რომელსაც თავი გვე-
 ლაშაპისა აქვს და ტანიცხენისა, ან კიდევ, ვენეციაში გარდა-
 იცვალა 400 წლის მოხუცა; მიუნხენში ქუხილის დროს ცი-
 დან ჩამოვარდა კაცი, რომელიც არის ბოროტი გრძნეულიო.

პირველი ფოსტა რუსეთში.

იმ დროს, როდესაც ევროპაში გავრცელდა გაზეთი, მო-
 სკოვში გაზეთს დიდი ყურადღება მიაქციეს. ქალაქ რიგიდან



მოდიოდა „კურანტები“, როგორც რუსეთში მათ ეძახდნენ, იყო ჰოლანდიის და გერმანული გაზეთები. დაბეჭდილი და ხელთნაწერი წერილები მაშინვე ითარგმნებოდა თარჯიმანების მიერ. უკანასკნელ ახალ ამბებს არც ამოაკლებდნენ. მერე გადასწერდნენ ერთს პირს მეფისათვის და მეორეს ბოიარებისათვის.

გაზეთების მიღება ევროპიდან შესაძლო გახდა იმის შედეგად, რაც დაარსდა ფოსტა. 1666 წლიდან ფოსტის მოსამსახურეებს გადაჰქონდათ ტომრებით და აბჯებით წერილები ბეჭედ დასმული მოსკოვიდან საზღვრამდე და საზღვრიდან მოსკოვამდე. ნაბრძანები ჰქონდათ ფოსტა ფრთხილათ გადაეტანათ, ევლოთ დღე და ღამე, ზაფხულში უნდა გაეარათ საათში შეიდი ვერსი, შემოდგომაზე და ზამთარში ხუთი ვერსი. არამც და არამც ტომრები და აბჯები გზაში არ უნდა გაეხსნათ და გაეშინჯათ. ფოსტის უფროსების თანადასწრებით უნდა გადაეცათ ერთმანეთისთვის, რომ არ ამტყუაროთ მიტემა-მოთქმა, ბრალი არავის დასდებოდა. თუ რომელიმე ამ წესს დაარღვევდა, ფოსტას უფროსს ატყობინებდნენ, რომ მას დამნაშავე დაესაჯა.

პირველი ფოსტის უფროსი იყო უცხოელი ლეონტი მარსელიისი. ფოსტას უყურებდნენ როგორც სახელმწიფო დაწესებულებას და ამიტომაც ფოსტის მოსამსახურეებს საკუთარი ტანთ-საცმელი მისცეს — მწვანე მაულისა და მარჯვენა მხარზე უნდა ჰქონოდათ დაკერებული არწივის გამოხატულება, მარცხნივ — ფოსტის დასაკრავი ნალარისა.

დანიშნულ დღეს, კვირაში ერთხელ, მოსკოვიდან მიდიოდნენ ფოსტალიონები დაბეჭდილ ტომრებით. ტომრებში არ იყო მარტო განკარგულებები, უფროსების მოხსენებანი, არამედ კიდევ: ყოველი წერილები, ვაჭრების მიწერ-მოწერა. ფასს ახდევინებდნენ სულო ცოტას. ეს აიხსნება იმითი, რომ იმ დროში ცხოვრება იაფი იყო და ფულსაც სხვა ფასი ჰქონდა. მცოდნე ხალხი ამბობს, რომ მაშინდელი მანეთი ახლანდელ 17 მანეთს უდრიდა.

იმ დროის სწავლული და გამოჩენილი კაცი ორდინ ნასროკინი ამ გვარად სწერს ფოსტაზე: „ფოსტა არის დიდებული დამაკავშირებელი საქმე და მისი საშვალებით ყოველივე სიკეთე შეემატება მოსკოვის სამეფოს“. სიძველის მოტრფია-



ლენი კი უკმაყოფილოთ შესცქეროდენ ამ ახალ შენობებზე ფოსტას.

ახლანდელი დროის ფოსტა.

ათასი წლები გავიდა მას შემდეგ, რაც პირველათ დაიწყეს წერილების გადაცემა და მათ გაგზავნ-გამოგზავნაში თითქმის არავითარი ცვლილება არ მოხდა. როგორც სპარსეთის მონარქიაში და რომაელთა იმპერიაში, აგრეთვე ევროპიელების სახელმწიფოებში მე-XIX საუკუნემდე ცხენოსან შიკრიკზე უკეთესი არა იცოდენ რა ფოსტის გადასატანათ.

მაგრამ დადგა მეXIX საუკუნე თავისი დიდებული აღმოჩენებით და შესცვალა ყოველისფერი. ზღვებზე ამოძრავდა გემები, რკინის გზის ლიანდაგებმა სხვა და სხვა ქვეყნები შეაერთა, გადადილდა მიმოსვლა. დაარსდა ახალი ზომა დროსათვის და მანძილისათვის, უწინ რომ სჭირდებოდათ რამოდენიმე დღის შუშაობა, ეხლა ორთქლის წყალობით რამდენიმე საათში აკეთებდენ—აყვავდა ქვეყნები. საერთო ხალხის გარდასახლების ხანაში არ გადადიოდენ ერთ მხარედანმეორეში იმოდენა ხალხი, როგორც ეხლა. გამოთვლილია, რომ ყოველ წელიწადს რკინის გზებზე მოგზაურობს ხუთი მილიარდი სული—ეს შეადგენს თითქმის მთელ ევროპის მცხოვრებლებს. იშვიათია ჩვენ დროში ისეთი ადამიანი, რომელსაც არ ემგზავროს, უფრო იშვიათია ისეთი, რომელსაც არა ჰყავს სადმე შორს, ან საზღვარ-გარეთ ნათესავი, ან მახლობელი. ეხლა ამერიკაში უფრო ადვილია წასვლა, ვიდრე უწინდელ დროში ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში. მარტო ნიუ-იორკში ყოველ წლივ მიღის ევროპიდან ერთი მილიონი ადამიანი.

ამავე გზებით მიღის უთვალავი სავაჭრო საქონელი. ეს აძლიერებს კავშირს დედა-მიწის სხვა და სხვა ადგილებ შორის და ამიტომაც წერილის მიწერ-მოწერა აუცილებელ საქმეებათ შეიქნა ჩვენ დროში. წერილები დასეირობენ მთელ დედამიწის წურგზე, და არა მარტო იმიტომ, რომ გზები გაუმჯობესდენ, კიდევ იმიტომ, რომ ფოსტის გადასახადი სულ მცირეა. ეხლა წერილი ერთი ქვეყნის კუთხიდან მეორეში უფრო გაუჭირებლათ და ნაკლებ ფასათ იგზავნება, ვიდრე უწინ ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქამდე. უმეტესი ნაწილი სახელმწიფოებისა პირობით ეკვრებიან „მსოფლიო საფოსტო



კავშირს* და მათთან ერთად შეთანხმებით ყოველი წერილი იგზავნება ერთი და იგივე ფასით თუნდ შორს და თუნდ ახლოს იყოს. ამიტომაც ევროპის ყოველ მიყრუებულ კუთხის მცხოვრებს შეუძლია რამოდენიმე კაპეიკი დახარჯოს წერილი მიაწოდოს ოკეანის იქითა მხარის მცხოვრებლებს.

რა გასაკვირველია, რომ ეხლა, ყოველ წლივ იწერება იმოდენა წერილები, რამდენიც არ დაწერილა მთელ წარსულ საუკუნოებში იმ დროიდან, რაც ევროპაში წერაკითხვა და შემოიღეს. რუსეთში ყოველ წლივ იგზავნება ერთი მილიარდი წერილი, რაც თვითველ მცხოვრებელზე წლიურათ მოვა ექვსი წერილის გაგზავნა. რუსეთი ჩამორჩენილია ამ შემთხვევაში ევროპისაგან; გერმანელი ყოველ წლივ აგზავნის და იღებს 70 წერილს; ინგლისელი—80; ნიუ-იორკში ზოგიერთი სავაჭრო ფირმები გზავნიან ყოველ დღე 2,000 წერილს. ყოველ მიყრუებულ, მივარდნილ კუთხეებში არის ეხლა ფოსტა. მაგრამ თუ ყოველგან ვერ სწვდება რკინის გზები და გემები, იმ შემთხვევაში ხანდისხან უნდა მიპართონ ისევ ძველ საშუალებებს. ბერლინში არის ფოსტის მუზეუმი, სადაც თვალსაჩინოთ წარმოდგენილია ყოველი საშუალება ეხლანდელი ფოსტის მიმოსვლისა. აქ ნახავთ ჩქარ-მავალ და ცხენოსან შიკრიკებს, ყოველ გვარ ეტლებს. ჩინეთში ეხლაც ხმარობენ შიკრიკებს, რომელნიც გარბიან გზებზე და თან ძიათრევენ მძიმე ტვირთს, მიუხედავთ სიციხისა და ავდარისა.

სულანში და აგრეთვე არაბეთში ფოსტა გაღააქვთ აქლე-






მებით, რომელნიც მიჩვეულნი არიან სირბილს. ჩრდილოეთის თოვლიან ვაკეებზე კი მიაქვთ ირმებით და ძაღლებით. ჩრდილოეთ ამერიკაში, ალიასკაში გადააქვთ მარხილებით.

რაფრათაც და სადაც კი უნდა მიდიოდეს ფოსტა, ის ემსახურება ერთ დიდებულ საქმეს—აერთებს კაცობრიობას. ერთმა გამოჩენილმა ინგლისელმა სთქვა რკინის გზებზე: რომ რკინის გზები უახლოვებენ ადამიანებს ერთმანეთს უკეთესათ, ვიდრე მშვიდობიანობის მქადაგებელნი. ასევე მკიდროთ აკავშირებენ ერთმანეთს ზვალით უმნიშვნელო წერილები.

ალ. ფალავა.

(დასასრული)





ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა.

(თომა-ალვა ედისონი)



ემდევ სხვა მკვლევარებმა გააუმჯობესეს ედისონის მანქანა, რომელიც ამ ჟამათ კინემატოგრაფის სახელით ყველგან შემოდებულა.

უმეტესათ ამ მანქანას გასართობათ ხმარობენ, მაგრამ მას შეუძლიან კაცის განსავითარებლათ დიდი სარგებლობა მოიტანოს, გახდეს ქვეყნიერების საიდუმლოების მხილველი — უცნობი ხალხის, ქალაქების და უცხო ბუნების სურათების მაჩვენებელი.

ცოტა ხანსაც კმარა, რომ დაეყოს ამისთანა თეატრში — შევატყობთ რა განმავითარებელი ძალა აქვს ამ სანახაობას ყველაზე.

ჩვენ წინ გადაქიმულ თეთრ ტილოზე მოჩანს ინგლისის მიყრუებულ პატარა სოფელი ქვის ნახშირის მალარობით. ბნელა... ცოტ-ცოტა თენდება... ჩვენს თვალს წარმოუდგება ხან ერთი ქოხი, ხან მეორე, ვხედავთ მუშებს, როგორ დალაღულნი მოღუშული სახით იღვიძებენ, ეტყობათ სულ ცოტა სძინებიათ. ესენი მიეშურებიან სამუშაოთ თავიანთ ბნელ მალაროებში. აი ვხედავთ ერთ მათგანს, როგორ ზეზეულათ სვამს ყავას და თავისი სამუშაო იარაღებით გამოდის ქუჩაში,



მეორე, მწუხარებით სავსე სახით, ხელში იყვანს პატარა ბავშვს, რომელიც ლიფილს, მხურვალეთ ჰკოცნის, იქნება უკანასკნელათ, რადგან არ იცის საღამოზედ სახლში ცოცხალი დაბრუნდება თუ არა...

თვალ წინ წარმოგვიდგება ვიწრო ქუჩა, რომელზედაც ჯგუფ-ჯგუფათ მიდიან მუშები მაღაროებისაკენ. აი თითონ მაღაროებიც, მიწის ქვეშ ჩაღრმავებული ღრმა და საშიში. მუშები გოდრებში სხდებიან და ისე ჩადიან იქ. ბოლოს ვხედავთ, როგორ მაღაროში ისინი სქრიან ნახშირის ქვის დიდ ნაქრებს და გზას ინათებენ სულ პატარა სანათურებით. მერე კედლებიდან ჩამონაჭერი ნახშირი ზევით ააქვთ და მილიონი ფუთობით იგზავნება ყველგან, რომ ხალხს სინათლე და სითბო მიაწოდოს.

ყველაფერი ეს ჩვენ წინ ისე ახლო და ცოცხლათ იხატება, თითქოს ჩვენ მათთან ერთათ მაღაროებში ვართო და ამ მუშებს რომ დაველაპარაკოთ ისინიც გვიპასუხებენო—გაამხელენ ჩვენთან თივიანთ მძიმე და აუტანელ ცხოვრების ამბებს.

მეორე სურათი....—ზღვის კიდეა... ტალღები ზარმაცათ სიცილიის კიდეს ეხეთქებიან. მთვარე ჰფენს მხიბლავ ნათელით ზღვას, მშვენიერ ბაღებს—ქალებს; საცა მაღალის აღვის ხის კენწეროები თითქოს ერთმანეთის ერთი მეორეზე საყურადღებო ზღაპრებს ეჩურჩულებიან.

ზღვაში ერთი მეორის გაჯიბრებით პატარა სუბუქი იალქნიანი ნაფები დადიან და სიცილიის მარდი მეთევზეები სიცილ კასკასით ბადეს წყალში ისვრიან, დაიმედოვნებული დიდი ნანადირევით. მაგრამ ამ დროს ცაზე ღრუბლები გამოჩნდება, მთვარე მიიმალება, ზღვაზე ფურთვნა იწყება, ჯერ ნელანელა, მერე ზვირთები სულ მაღლა ადი-ჩადის, თოთქოს უზარმაზარი გველეშაპის გულიაო. მძაფრი ქარი უცბათ შემოაუბერავს, მეთევზეები იალქნებს საჩქაროთ შეჰკრავენ, ეჩქარებათ უკანვე, ზღვის კიდისკენ.

ჩვენ თვალ წინ სხვა და სხვა სურათები იცვლება, ვხედავთ მატარებლებს, როგორ უდაბნოში მიჰქროლავენ, თვალ წინ გვეხატება ქალაქის ცხოვრება. ვხედავთ მუშაობის დროს დიდრონი ფაბრიკების შინაგან მოწყობილობას—ყველა ეს



ნათლათ, ცოცხლათ მოსჩანს. ამ მშვენიერ მოგონებას მხოლოდ ერთი დიდი ნაკლი აქვს—ეს არსებითი დიდი ნაკლია— მოძრაობები უსიტყუა, მუნჯია.

ტალღები მოძრაობენ, ეხეთქებიან კიდევებს ჩუმათ. რკინის გზის მანქანა სწრაფლათ გარბის, მაგრამ მისგან ნატამალი ხმაურობა არ ისმის, ხალხი აღებს პირს, იცინის, ტუჩებს ამოდრავებს, ლაპარაკი-კი არ გვესმის. ამისთანა სიჩუმე, როდესაც აუარებელი ლანდები მოძრაობენ, საშინელ მდგომარეობაში გვაგდებს, მეტადრე როდესაც ახლო ვართ ამ ხალხთან.

ედისონს, რასაკვირველია არ გამოეპარებოდა ეს ნაკლი. და გადასწყვიტა კინეტოსკოპი შეეერთებინა ფონოგრაფთან.

თავდა-პირველათ მან კინეტოსკოპს ფონოგრაფი ჩაუყენა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ამ მანქანებმა ცალ-ცალკე უნდა იმუშაონ, თუმცა მათი მოქმედება ერთ დროს უნდა გამოიხატოს. ფონოგრაფს უნდა ეთქვა სიტყვა სწორეთ იმ წუთს, როდესაც ტილოზე პირს გააღებდა საოლაპარაკოთ რომელიმე, თუ არა და სურათი მხოლოდ სასაცილო გამოვიდოდა.

ბევრი გამოცდების შემდეგ, ბოლოს ედისონმა მოახერხა გაემართა მოლაპარაკე ცოცხალი სურათები. ხმას გადასცემდნენ ხალხს დიდი ძაბრის საშუალებით.

ამ ორი შეერთებული მანქანის საშუალებით პატარა თეატრში მას აქეთ იმართებოდა წარმოდგენები, რომელსაც ყოველ მოძრაობის დროს მოსდევდა შესაფერი ლაპარაკიც. მომღერალნი—ქალი და კაცი მღეროდნენ სხვა და სხვა სასიამოვნო სიმღერებს. ორკესტრი უკრავდა, რკინის გზის მანქანა გაჰკიოდა, მქედელი გრდემლზე ჩაქუჩს სცემდა ისეთი ძალით, რომ მთელ თეატრს ზანზარი გაჰქონდა, თუმცა ყველაფერი ისე არ იყო, როგორც უნდოდა: სურათები ზოგჯერ ბუნდოვანათ გამოდიოდა, ხმები იკარგებოდა, მაგრამ ედისონი თითონ მშვენივრათ გრძნობდა რა მომავალი მოელოდა ამ გამოგონებას და თავის ამხანაგებს ეუბნებოდა:

ეჭვი არ არის, რომ ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ შევძლებთ თვით დიდი ოპერების წარმოდგენას ყოველ სოფელში. ხელოვნება, რომელიც ეხლა მარტო შემძლე ხალხისთვის არის ხელ-საყრელი, ბოლოს შეიქნება საყოველთაო. არა თუ ოპე-




რები და სხვა და სხვა ხელოვნებების წარმოდგენები შეიძლება
 ბოდა ხალხისთვის ეჩვენებინათ, არამედ ყოველი სხვა მოვლენა
 ნაც—მაგალითათ: წარმოქმული ათი ათასი ვერსის სიშორე-
 ზე საყურადღებო სიტყვა და მერე ისე გადმოცემული ყო-
 ფილიყო, რომ მაყურებლებს ენახათ თავის თვალით ორატო-
 რი, მისი სახის გამომეტყველება, მისი მიხვრა მოხვრა და ამი-
 თი მოეხიბლათ მსმენელები.

ამ გვართ სამუდამოთ შეინახებოდა ყველა საყურადღე-
 ბო მოვლენა ხალხის ცხოვრებაში და რომ კარგა ხნის შემ-
 დგე მომავალ თაობას შესძლებოდა მისი ზედ გავლენა!

„ეს იქნება, განაგრძობდა ედისონი გაბრწყინებული
 თვლებით—აღბეჭდილი სიტყვებით და გამოხატულობით მე-
 ოცე საუკუნის ისტორია. — ისტორია — ცოცხალ მოლაპარაკე
 სურათებით—მას არ შეედრება არც ბეჭდვითი სიტყვა და არც
 ზეპირი გადმოცემა!“

ამ შეერთებულ ორ მანქანას ექნება თუ არა ისეთი ღი-
 დი მნიშვნელობა, რომელსაც ოცნებობს ედისონი—ეს სხვა
 საკითხია, ის კი მართალია, რომ კინემატოგრაფის წყალობით
 მსოფლიო განვითარებას ფართო გზა გაეხსნა და ამ გზით უნდა
 იმუშაონ და გააუმჯობესონ საქმე. სწორეთ იმ დროს, როდესაც
 კინემატოგრაფი არ იქნება მარტო დროს გასატარებლათ,
 არამედ შეიქნება განსავითარებლათ ახალი თაობისა და ხალ-
 ხისა, მაშინ მსოფლიო მნიშვნელობა მიეცემა მის გამოგნებას
 და ედისონის ოცნება გაიმარჯვებს.

(დასასრული შემდეგ.)





მეფე ირაკლის მასპინძელი.

ქველბური ამბავი*).

ნატახტარ სოფელს ერთი ოჯახი ცხოვრობდა, გვართ ტონუაშვილი, რომლის სიმდიდრე და პურადობა განთქმული ყოფილა მთელს საქართველოში. ისე მგზავრს არ გაუშვებდა, რომ საგზალი არ გაეტანებინაო. ისეთი მდიდარი იყო, რომ როცა ისინი მაწონს შესდღვებდენ, მცხეთაში მცხეთელები გაიგებდნო, რადგან ისინი დოს არ სჭამდენ და არაგვის მდინარეში ასხამდნო.

ძველათ ბევრი მოხუცებული დაჰნატროდა არაგვსა: — „ჰაი დედასა, არაგო, ის დრო სჯობნებულა, როდესაც ტონუაშვილებს თეთრათ შეუღებნხარ!“.

ერთხელ ერთი ამ ოჯახის შვილი მეფე ირაკლი მეორესთან მოსულა თურმე და თავის სახლში მიუწვევია ამ ლექსის თქმით:

ნატახტარ სოფლით გახლავარ,
მდიდრათ განთქმული გლახიო.
საწყალი კაცი მოყვარე,
მტრების გახლავარ მეხიო!
თქვენის ამალით მეწვიეთ,
მიკადრე მონა გლახიო.
თუ ღირსეულათ ვერ დაგხვდეთ,
თავზე დამატყდეს მეხიო!

მეფეს დიდათ გახარებია გლახისაგან დაპატიყება, შესულა დედოფლის პალატში და მოუხსენებია იმისთვის:

— მეც ლექსის თქმით მიწვევენ და შენც ლექსის თქმით უნდა გამოგეთხოვო და თანაც ოცი კაცი უნდა წავიყვანო, ვნახო—როგორ დამიხვდება ჩემი მასპინძელი:

ტონუაშვილსა მიქებენ,
ბლომათა ჰყავსო ზაქები!
წავალ და სტუმრათ ვეწვევი,
ნუ თუ მართლათა საქები?

როდესაც მეფე მიბძანებულა გლახისას, მეფიდან დაწყებული უკანასკნელამდის თითოსთივს ორ-ორი პირუტყვი

*) გადმოღებულია ძველი დრობიდან.



დაუკლამთ: ძროხა, ცხვარი, თხა და ზაქები; ფრინველები; არც ერთი.

ვახშმის შემდეგ მეფეს უფიქრია: სიმდიდრით მდიდრები ყოფილანო, აბა ახლა კეკუთ გამოვცდიო. დაუძახნია და უთქვამს:

— აბა ისეთს ალაგას დამაწვინეთ, რომ ჩემზე უნცროსი იქ არავინ იყვეს.

შეიყვანეს და საცა თითო წლის ბავშვების ოცი აკვანი იყო, იმ ოთახში დააწვინეს.

მეორე დღეს მეფემ კიდევ უბრძანა:

— ისეთს დარბაზში დამაწვინეთ ამაღამ, რომ ჩემზე დიდი იქ არავინ იყვესო.

მაშინ ადგნენ მასპინძლები და მოახსენეს:

— დიდებულო მეფეო, რათ იწუხებ თავსა ჩვენის გიმოცდითა? განა არ ვიცით, რომ უმაწვილზედ დიდი არავინ არ არის, ამისთვის რომ ამოდებული ხმალისაც არ ეშინიან და ჩვენზე პატარაც არავინ არის, ამისთვის რომ თქვენი მონანი გასლავართ!

შემდეგ მეფემ ჰკითხა მათ:

— რა მიზეზია, რომ საქონელი თითოს ორ-ორი დაგვიკალი და ფრინველი კი არც ერთი?

— ამისთვის, რომ თქვენ კაცი ბრძანდებით და საქონელი კაცის კუთვნილებაა და ფრინველი დედაკაცისა; როდესაც დედოფალი მობრძანდება, იმას ქალები დაუხვდებიან და ფრინველებს დაუკვლენ.

წამოსვლის დროს მეფემ იმათი სახლ-კარი დაათვალიერა; საქონლის ბაკში თორმეტი პატარა ზაქები დანახა; მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ეს ზაქები როდინდელი მოგებულები არიან?

— თქვენი ფეხი, მეფეო, ისეთი ბედნიერი იყო ჩვენთვის, რომ წუხელის თორმეტი ხარ-ზაქი მოგვემატა და თორმეტი მათი მწყემსი, უთხრა თურმე მასპინძელმა.

მეფე ამის შემდეგ ამბობენ, ხშირი სტუმარი იყო ხოლმეო იმ გლეხისა.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.



უკველდობრივი სპეციალური და სპორტურა გაზეთი

„სახალხო გაზეთი“

წელიწადი მეხუთე.

შომავალ 1914 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა და გაზეთს ექნება კვირაობით

სურათუბიანი დამატება.

1914 წლის ხელის მომწერნი, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიად

ს ა მ ს წ ი ბ ნ ს

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 4 მან. 50 კაპ., საზღვარ-გარედ 7 მ. 50 კ., ერთი თვით ტფილისში 75 კ., საზღვარ-გარედ 1 მან. 25 კაპ.

ტელეგრაფული ნომერი ერთი შუური, დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ГАЗЕТИ“ почтовый ящикъ 190.

Открыта подписка на 1914 годъ
НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія шестой).

Подписная цѣна

| | | |
|-----------------------|----------------|----------------|
| Съ доставкой на домъ: | Въ Тифлисъ. | Въ провинціи. |
| На годъ | 6 руб. — коп. | 8 руб. — коп. |
| „ полгода | 3 руб. 50 коп. | 4 руб. 50 коп. |
| „ 3 мѣсяца | 2 руб. — коп. | 2 руб. 25 коп. |
| „ 1 мѣсяць | — 75 коп. | — 75 коп. |

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакция газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“. Редакторъ Д. М. Думбадзе. Издатель Э. З. Горделадзе.

ი 365/1



ქართული
ლიბრერი

ჯ ე ჯ ი ლ ი

საქმანწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა მახუთა წალიწადი.

ჟეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1914 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, ზატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება ± მან., ქალაქ გარეთ (გაზსაუნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში — „ჯეჯილის“ რედაქციაში,
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიძარტონ:

ქუთაისში — ისიდორე კვიციანიძეს.

მისაილოვში — ვლად. ჩიქოვანს.

სამტრედიაში — რაჟდენ ნანეიშვილს.

სიღნაღში — კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში ქალ. ჯაფარიძეს და — ნიკო წუწუნავას.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ. — გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

ჯეჯილის 1914 წლის ხელის მომწერლებს

ვინც ჟურნალის ფასს სრულად გადაიხდის

საჩუქრათ გაეგზავნებათ

დასურათებული წიგნი.

„კ უ ნ წ უ ლ ა“